

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გაზეთი
გამოდის
1927 წლიდან



კორნელი კეკელიძის
130 წლისთავისადმი
მიძღვნილი
ღონისძიება

მე-11 გვერდი

საქართველოს
საგარეო
აღმოსავლურ
და
სამხრეთ-აღმოსავლურ
კავშირების
სახელმწიფო
უნივერსიტეტი



უნივერსიტეტი

8 მაისი, პარასკევი, 2009 წ. №6 (2088)

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 8 ახალი წევრ-კორესპონდენტი თსუ-დან აირჩიეს



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 8 ახალი წევრ-კორესპონდენტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აირჩიეს. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები არიან: ირინე მელიქიშვილი (ზოგადი ენათმეცნიერება); გურამ ლორთქიფანიძე (საქართველოს და აღმოსავლური ქვეყნების ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია); რევაზ სირაძე (ქართული ლიტერატურის მცოდნეობა); აპოლონ სილაგაძე (აღმოსავლური ენები, აღმოსავლური

ფილოლოგია); ბეჟან ჭანკვეტაძე (ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები); რევაზ გაჩეჩილაძე (გეოგრაფია); რომან შაქარაშვილი (ნევეროლოგია); ვაჟა შენგელია (კავკასიური ენები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება). 30 აპრილს თსუ-ში უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები ახლად არჩეულ წევრ-კორესპონდენტებს შეხვედნენ. შეხვედრას ესწრებოდა თსუ-ის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა. შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომელმაც აღნიშნა: „ეს არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის სამეცნიერო მიღწევების, არამედ თსუ-ის სამეცნიერო სკოლის აღიარებაა, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა. მათი წარმატება უნივერსიტეტის საერთო წარმატებაა და იმედია, რომ მომავალში ჩვენი კოლექტივის მრავალი სამეცნიერო-შემოქმედებითი წარმატების მოწმენი კვლავაც გაგვხვდება“.

აკადემიის ახალ წევრ-კორესპონდენტებს მიესალმნენ: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, წევრ-კორესპონდენტები: რისმაგ გორდუზიანი, თენგიზ ურუშაძე და სხვები.

„მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულმა ძალებმა სცადეს უნივერსიტეტის იმიჯის შელახვა, ჩვენი უნივერსიტეტი მაინც დგას მონღების სიმალეზე და საკმაოდ კარგად იცავს თავის პოზიციებს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არჩევნებმა კარგად დაგვანახა, რომ მიუხედავად არსებული სირთულეებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერული მიღწევების მხრივ, კვლავ ავანგარდში დგას, რაც ახლი წევრ-კორესპონდენტების სიმრავლითაც დადასტურდა“, — განაცხადა მარიამ ლორთქიფანიძემ.

სამადლობელი სიტყვებით გამოვიდნენ ახლად არჩეული წევრ-კორესპონდენტები: გურამ ლორთქიფანიძე, რევაზ გაჩეჩილაძე, რომან შაქარაშვილი, ირინე მელიქიშვილი და აპოლონ სილაგაძე.

„ჩემთვის დიდი პატივია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გადამწყვეტილება და არჩევანი. აკადემიის წევრები ძალიან დიდი მეცნიერები იყვნენ... ბევრი ჩემზე ღირსეული მეცნიერი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ამ პატივს ვერ ეღირსა. ასეთი დიდი მეცნიერების ფონზე ჩემი აღიარება საამაყო და საპასუხისმგებლოა. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო“, — აღნიშნა პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ. შეხვედრამ გულთბილ და სასიამოვნო ვითარებაში ჩაიარა.

საკონსულტაციო
შეხვედრა ერთი-
ანი ეროვნული
სამაგისტრო
გამოცდების
ჩაბარების
მსურველთათვის

მე-2 გვერდი

ზაალ კოკია
სამეცნიერო
ნაშრომის წარს
ტექნოლოგიაზე
ისაუბრა

მე-3-4 გვერდი

სანდრო ლაჭავაძე:
„ჩვენს ცენტრში
მიმდინარეობს
მუშაობა „ლორის
ბრიკის“
თავისებურების
შესასწავლად“

მე-4 გვერდი

შურნალისტიკის
მიმართულად
სტუდენტებისთვის
მიცემული
დაპირიება
სრულდება

მე-5 გვერდი

მომნივდა აზრი
საქართველოში
ამერიკის
შესწავლის
ინსტიტუტის
ჩამოყალიბების
თაობაზე

მე-8-9 გვერდი

ქართულ-ვაინა-
სური კულტურულ-
ისტორიული
კავშირები

მე-9 გვერდი

2009 წლის სასწავლო-სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა

5 მაისს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამართა საკონსულტაციო შეხვედრა, რომელიც 2009 წლის სასწავლო-სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსს შეეხებოდა.

მაია ტორაძე

კონკურსი ტარდება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ინიციატივით და გულისხმობს იმ სტუდენტების დაფინანსებას, რომლებმაც მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სწავლის უფლება უცხო ქვეყნის მაღალრეიტინგულ უმაღლეს სასწავლებელში

მოიპოვეს (სასწავლებლების და სპეციალობების ჩამონათვალი და გრანტის გაცემის პირობები განთავსებულია განვითარებისა და რეფორმების ფონდის ვებ-გვერდზე www.drif.org.ge).

სამაგისტრო გრანტების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს მიიღო, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტში 3 500 000 ლარია გათვალისწინებული.

დაფინანსება მოიცავს შემდეგ სპეციალობებს: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ხელოვნება, მედიცინა.

როგორც განვითარებისა და რეფორმების ფონდის პროგრამების მენეჯერმა ეკატერინე ტოროშელ-

იძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ფონდის მიერ გაცემული თანხა დაფარავს არა მარტო სწავლის, არამედ სწავლასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებსაც (საცხოვრებელი ბინის, მგზავრობის და სხვ.). იგი მიეცემა სასწავლო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შერჩეულ კანდიდატს, რომელიც არის 40 წლამდე საქართველოს მოქალაქე და თავად მოიპოვებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლებას.

მისივე თქმით, გრანტის მისაღებად კანდიდატი უნდა დარეგისტრირდეს ფონდის ვებ-გვერდზე და შეავსოს აპლიკაციის ელექტრონული ფორმა, რომელშიც უნდა მიუთითოს უნივერსიტეტი, რომელშიც ჩაირიცხა ან კონკურსის დასრულებამდე ელოდება ჩარიცხვას, ასევე უნდა მიუთითოს ფაკულტეტი და თანხა, რომელიც სჭირდება.

კონკურსში მონაწილეების განაცხადების მიღება 30 მარტიდან დაიწყო და 26 ივნისამდე გაგრძელდება. აპლიკაციების შერჩევის შემდეგ დაინიშნება გასაუბრება კომისიასთან, რომელიც განსაზღვრავს და დაზუსტებს პირის დაფინანსების საკითხს.

„ჩვენ საკონსულტაციო შეხვედრები გვქონდა ასევე კავკასიის ბიზნეს სკოლაში, თავისუფალ უნივერსიტეტსა და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხვალიდან ანალოგიურ შეხვედრებს გავმართავთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში, რათა რაც შეიძლება მეტ სტუდენტს მიეცეს ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ახალი ინიციატივის შესახებ“ — განაცხადა ეკატერინე ტოროშელიძემ.

სშირად დასაგული შეკითხვები

? – შეიძლება თუ არა, რომ ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისთვის რეგისტრაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავიაროთ და ამისათვის ვის უნდა მივმართოთ?

მანანა ბალაღურიძე, სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიის მიმართულების მეოთხეკურსელი

რუსუდან ჩიქოვანი, თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისთვის რეგისტრაცია მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში, II კორპუსში. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია ყველა ფაკულტეტი.

? – თსუ-ში სიღნაღის ფილიალიდან გადმოვიღე. სწავლის დაწყებისას დამაკლეს 16 კრედიტი, რის გამოც დამატებით ერთი სემესტრის გავლა მომიწევს. მაინტერესებს, რატომ არ ჩამოთვალეს გავლილი საგნები?

ნათია ოთარაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ტურიზმისა და მართვის მიმართულების მეოთხეკურსელი

დოდო მღებრიშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის უფროსი:

ფილიალებიდან გადმოსული ყველა სტუდენტის კრედიტები ფაკულტეტში ერთი მიდგომით აღიარა, რომლის დროსაც დაეყრდნო სასწავლო გეგმას, რაც 20 თავისუფალ კრედიტს ითვალისწინებდა. ეს საუნივერსიტეტო მოთხოვნა იყო და, აქედან გამომდინარე, აღიარა მხოლოდ 13 კრედიტი.

? – როდის მოგვარდება აუდიტორიების პრობლემა? 50-60 სტუდენტს პატარა აუდიტორიაში გვიტარებდა ლექცია, ერთ მერხთან სამ სტუდენტს გვიწევს დაჯდომა.

თიკო კაჭკაჭიშვილი, სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების მესამეკურსელი

რუსუდან ჩიქოვანი, თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

როგორც მოგვხსენებთ, თსუ-ის პირველ კორპუსში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რამაც თავისთავად შექმნა აუდიტორიების პრობლემა, თუმცა ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობენ შეძლებისდაგვარად მოაწესრიგონ ეს საკითხი.

? – თსუ-ის პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს მეორე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა დაგვავიანდა. ვის უნდა მივმართოთ, რათა თანხის დაფარვის უფლება მოგვცენ, ან შესაძლებელია თუ არა ეს ახლა?

მარიკა გოგოლაძე, კინო-ტელე რეჟისურის მიმართულების პირველკურსელი

რუსუდან ჩიქოვანი, თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილია გარკვეული ვადები და სტუდენტი ვალდებულია ამ ვადაში დაფაროს სწავლის სემესტრული საფასური ან განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციას თანხის ეტაპობრივი გადახდის თხოვნით.

ბრძანება №44/01-01

23.04.09

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

3 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;
2. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 2 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე

- პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი;
3. კონკურსი გამოცხადდეს 2009 წლის 23 აპრილს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2009 წლის 25 მაისიდან 2009 წლის 25 ივნისის ჩათვლით;
 4. კონკურსი ცხადდება საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ქვემომართულება — საერთაშორისო ურთიერთობების თეორია — ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეული; ნაციონალიზმის თეორია — ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეული;
 5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
 - ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) ავტობიოგრაფია (CV);
 - დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ე) სამოტივაციო წერილი.
 6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს თსუ-ის კანცელარიაში 2009 წლის 25 მაისიდან 2009 წლის 25 ივნისის ჩათვლით, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №3 (II კორპუსი);
 7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
 8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- საფუძველი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №5604/02 13.03.2009წ.

რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

ბრძანება №43/01-01

23.04.09

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე,

3 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად;
2. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 2 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2009 წლის 23 აპრილს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2009 წლის 25 მაისიდან 2009 წლის 25 ივნისის ჩათვლით;
 4. კონკურსი ცხადდება გეოგრაფიის მიმართულებით, ქვემომართულება: – გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკა — ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე; ჰიდროლოგია, მეტეოროლოგია, ოკეანოლოგია — ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;
 5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
 - ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) ავტობიოგრაფია (CV);
 - დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ე) სამოტივაციო წერილი;
 6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს თსუ-ის კანცელარიაში 2009 წლის 25 მაისიდან 2009 წლის 25 ივნისის ჩათვლით, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №3 (II კორპუსი);
 7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
 8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- საფუძველი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №4470/02, 09.03.2009წ.

რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

ბრძანება №49/01-01

01.05.09

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამბაქოს მონევის აკრძალვის შესახებ

„უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილის, ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტების საფუძველზე,

3 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. 2009 წლის 1 მაისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში აიკრძალოს თამბაქოს მონევა.

2. „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავდეს და დამტკიცდეს თამბაქოს მონევისთან დაკავშირებით თსუ-ში მოქმედი წესები და განისაზღვროს პასუხისმგებლობის სათანადო ზომები;
3. დაევალოს თსუ-ის კანცელარიის უფროსს (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“, უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და მოხდეს მისი ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
4. დაევალოს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს (დ. ჩერქეზიშვილი) თამბაქოს მონევის ამკრძალავი აბრების დამზადების უზრუნველყოფა და თსუ-ის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე განთავსება.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს რ. ხარბედიას.
6. ბრძანება ძალაშია 2009 წლის 1 მაისიდან.

რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

საკონსულტაციო შეხვედრა ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების მსურველთათვის

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2009 წლის 27 აპრილიდან 25 მაისამდე ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების მსურველთათვის რეგისტრაცია გამოაცხადა.

1 მაისს რეგისტრაციისა და, ზოგადად, ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების წესების შესახებ გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მათა მიმინოშვილმა და ცენტრის თანამშრომლებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს.

მაია ტორაძე

შეხვედრაზე ითქვა, რომ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველები 2009 წლიდან საერთო სამაგისტრო გამოცდას ჩააბარებენ. როგორც ქალბატონმა მათა მიმინოშვილმა აღნიშნა, ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ასევე მაგისტრანტობის კანდიდატთა უნარებისა და შესაძლებლობის გამოვლენა.

გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა ყველა აკრედიტებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლისა და იმ აკრედიტებული კერძო უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად, რომლებიც გაერთიანდნენ ერთიან სამაგისტრო სავალდებულო ქსელში (2010 წლიდან საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება სავალდებულო იქნება ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად).

მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს საქართველოს ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველმა რეგისტრაციისას თან უნდა იქონიოს: პირადობის მონიშვნის ასლი; ბაკალავრის დიპლომის ასლი ან უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა, რომ სწავლობს ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს თან უნდა ახლდეს ცნობა ავთენტიკურობის შესახებ); ერთი ფოტო-სურათი (3X4); გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი 50 ლარიანი ქვითარი.



საკონსულტაციო შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სამაგისტრო გამოცდა ორი დღის განმავლობაში ჩატარდება. იგი 4 ნაწილისგან შედგება: 1) ნაკითხულის გააზრება; 2) ანალიტიკური წერა; 3) ლოგიკური მსჯელობა; 4) რაოდენობრივი მსჯელობა. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი სამ ნაწილში მაინც გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

თავის მხრივ, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი პირველ სამ კომპონენტში დადგინებულია მაქსიმალურ ქულათა 30 პროცენტით, ხოლო რაოდენობრივ მსჯელობაში მაქსიმალურ ქულათა 25 პროცენტით.

სამაგისტრო პროგრამაზე მოხვედრის მსურველს მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ აქვს უფლება განცხადება შეიტანოს სასურველ უმაღლეს სასწავლებელში და ჩააბაროს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის გამოცდა სპეციალობაში.

როგორც შეხვედრაზე განიმარტა, უმაღლეს სასწავლებლებს ეძლევათ უფლება, თავად გადაწყვიტონ, ამ 4 კომპონენტიდან რომელი სამი არის მისთვის გადამწყვეტი, ან დაასახელოს ერთი, რომელშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა აუცილებელია. უმაღლესი სასწავლებელი წყვეტს, ასევე, რა წილს მიანიჭებს ეროვნულ სამაგისტრო გამოცდას და სპეციალობის გამოცდას 100 ქულიან სისტემაში. მას ასევე შეუძლია დაანუსოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის უფრო მაღალი დონე.

სამაგისტრო გამოცდებზე საუკეთესო მაჩვენებლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატი სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს გრანტის სახით, რომელიც 2250 ლარს შეადგენს. როგორც ქალბატონმა მათა მიმინოშვილმა განაცხადა, წელს 1000-მდე კონკურსანტი მიიღებს სახელმწიფო დაფინანსებას.

სამაგისტრო გამოცდებზე ისიც სიახლეა, რომ კონკურსანტს შეუძლია ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატი სამი წლის განმავლობაში შეინახოს და ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სასურველ სამაგისტრო პროგრამაზე წარადგინოს.

არის თუ არა დაკონკრეტებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მისაღები წესები და რა სიახლეები ამ კუთხით, გვესაუბრება თსუ-ის საგამოცდო ცენტრის დირექტორი თეა იმედაძე:

— პირველ რიგში, რაც ყველაზე მეტად აზრებს სტუდენტებს და რაც აინტერესებთ არის რეგისტრაციის საკითხი. უნდა განვმარტ-



მაია მიმინოშვილი

ტო, რომ ჩვენს ცენტრში რეგისტრაციის გავლა არ გულისხმობს იმას, რომ მათ უნდათ, პირობითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩაბარება. ამ ეტაპზე ისინი არ უთითებენ არაფერს — არც უმაღლეს სასწავლებელს, არც ფაკულტეტს და არც სამაგისტრო პროგრამას. ისინი უბრალოდ უთითებენ, თუ სად, რომელ ქალაქში სურთ გამოცდის ჩაბარება. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ სარეგისტრაციო პუნქტი ვართ.

ჩვენთან საბუთების მიღება დაიწყება მას შემდეგ, რაც კონკურსანტი ჩააბარებს ერთიანი ეროვნულ სამაგისტრო გამოცდას. საბუთებს მივიღებთ შემდეგი ჩამონათვალის მიხედვით: განაცხადი (ფორმა დაიდება ვებ-გვერდზე), განცხადება რექტორის სახელზე, სამხედრო ბილეთი, სერტიფიკატი (თუ ასეთი აქვს კონკურსანტს), ავტობიოგრაფია და დამატებითი დოკუმენტაცია, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი დაადგენს. ამის შემდეგ ისინი ჩააბარებენ გამოცდას სპეციალობაში.

უახლოეს პერიოდში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაიდება მონაცემები, თუ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის რომელი კომპონენტი იქნება გადამწყვეტი, მივანიჭებთ თუ არა უპირატესობას რომელიმე მათგანს, რა წილი მიენიჭება სამაგისტრო და სპეციალობის გამოცდებს.

გამოცდების ჩამონათვალი, საკითხები და სერტიფიკატი, საიდანაც უნდა მომზადდეს სპეციალობის საგანი, წინასწარ გამოქვეყნებულია და დევს სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალთან ერთად.

მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველები ხშირად სვამენ ასევე კითხვას — ჩაბარდება თუ არა მისაღებ გამოცდაზე უცხო ენა. ამასთან დაკავშირებით განვმარტავ, რომ გასული წლებში უპირატესობა სპეციალობის გამოცდას ენიჭებოდა, მაგრამ უცხო ენის ჩაბარების გარეშე სტუდენტი ვერ ჩარიცხებოდა. წელს ვვარაუდობთ, რომ უცხო ენის გამოცდა აღარ იქნება, თუმცა ჯერ ესეც განვიხილავს საგანში.

ხშირად დასმული შეკითხვები

ენით, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას და უჩერდება სტუდენტის სტატუსში. ამ ეტაპზე ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა დიდი ხნის ამონურულია.

? — რატომ იცვლება ყოველ სემესტრში სტიპენდიის დასანიშნად აუცილებელი კრიტერიუმები? რაც მე წინა სემესტრში სტიპენდიის მისაღებად ქულას შემატებდა, ვგულისხმობ სერტიფიკატებს, სემინარებს, ტრენინგებს (გავიარე უნივერსიტეტის ბაზაზე), რატომ აღარ აკმაყოფილებს სტიპენდიისთვის აუცილებელ მოთხოვნებს?

იურიდიული ფაკულტეტის მესამეკურსელი (სახელი და გვარი არ დაასახელა)

რუსულან ჩიქოვანი, თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— რაც შეეხება ბაკალავრიატში სტუდენტთა სტიპენდიებს, ყოველი სემესტრის დასაწყისში იქმნება საუნივერსიტეტო კომისია, რომელიც განიხილავს ისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ადგენს სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმებს. 2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრშიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცა რექტორის ბრძანება ბაკალავრიატის ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსური ნახალისებისთვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენის შესახებ.

? — მაგისტრატურაში ჩაბარება რა სახით მოხდება და რის მიხედვით განისაზღვრება დაფინანსება?

ანი კიკონიშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსი ასისტენტი, მიმართულების მესამეკურსელი

რუსულან ჩიქოვანი, თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა, პირველ რიგში, უნდა გაიარონ რეგისტრაცია. ივლისში ჩატარდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი სამაგისტრო გამოცდა, ხოლო სექტემბერში — თსუ-ის საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდა სპეციალობაში. დაფინანსება განისაზღვრება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე.

? — ბაკალავრის დიპლომის ასაღებად მაქვს 10 კრედიტი, შესაძლებელია თუ არა, რომ ივლისში მაგისტრატურის ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მივიღო მონაწილეობა, მიღებული ქულები შევინახო, შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატის დარჩენილი ათი კრედიტი ავანზღაურო და მაგისტრატურაში სპეციალობის მიხედვით გამოცდები მომავალი წლის გაზაფხულზე ჩავაბარო?

ნინო შელია, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხეკურსელი

რუსულან ჩიქოვანი, თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— ბაკალავრიატის სტუდენტს შეუძლია წინასწარ ჩააბაროს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და შეინახოს მიღებული ქულა, თუმცა მოპოვებული დაფინანსება არ შეენახება. რაც შეეხება მაგისტრატურაში შენახული ქულით გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის გაგრძელებას, სავარაუდოდ, თსუ-ის მაგისტრატურაში მიღება მომავალი წლიდან წელიწადში მხოლოდ ერთხელ, შემოდგომის სემესტრში განხორციელდება.

მასალა მოამზადა ნატო ოზოლაძემ

ზაალ კოკაიამ სამეცნიერო ნაშრომის წერის ტექნოლოგიაზე ისაუბრა

2 აპრილს შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის ლეოვანი ნეიროლენგუაგების ბიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ზაალ კოკაიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისთვის გამართა სემინარი, რომელზეც მათ სამეცნიერო გრანტის აპლიკაციის და სამეცნიერო ნაშრომის წერის ტექნოლოგია გააცნო. ზაალ კოკაია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ექსპერტი და მისი რჩევები ყველა იმ ნიუანსს ითვალისწინებდა, რომლითაც კარგი აპლიკაცია უნდა გამოირჩეოდეს.

საქართველოში სამეცნიერო საგრანტო კონკურსს არც ისე დიდი ისტორია აქვს, მაგრამ უკვე აღარავინ დავობს, რომ კვლევითი გრანტი აკადემიური კვლევის ძირითადი საარსებო წყაროა. გასულ წლებში ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და რუსთაველის ფონდის მიერ ჩატარებულ კონკურსებს თან ახლდა მეცნიერთა მხრიდან პრეტენზიები, რომელიც ექსპერტთა კვალიფიკაციას და

დანუნებული პროექტების ღირებულებებს ეხებოდა, ხოლო გრანტის გამცემის მხრიდან იყო პრეტენზიები არასრულყოფილად დაწერილი აპლიკაციების გამო.

პროფესორმა ზაალ კოკაიამ სემინარზე ზუსტად განსაზღვრა კრიტერიუმები, რომელსაც წარდგენილი აპლიკაციებში ყურადღება ექცევა. მისი თქმით, ძლიერი აპლიკაცია ლაბორატორიის მონაწილეა, სუსტს კი არანაირი პერსპექტივა არ აქვს, თუმცა იქვე დასძინა, რომ ბევრი სუსტი აპლიკაცია შეიძლება გაძლიერდეს, თუ მას სათანადო კრიტიკით შევასწავლებთ.

მან აღნიშნა, რომ ხშირად უნებს სამეცნიერო კვლევის პროექტების რეცენზირება და უნივერსიტეტში ამ საკითხებზე კონსულტაციების გამართვა. ამანაც გამოიწვია, რომ მას აქვს შენიშვნები ქართველი მეცნიერების მიერ წარდგენილი პროექტების მიმართ. ამიტომ კონსულტაციაზე ყურადღება გამახვილდა იმ შეცდომებზე, ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებზე, რაც ექსპერტიზის დროს თვალშისაცემი იყო.

ზაალ კოკაიას რჩევით, სამეცნიერო გრანტის დანერგვამდე კარგად უნდა დამუშავდეს კონცეფცია, რათა იდეა მკითხველს გარკვევით მიეწოდოს. აპლიკაციამ უნდა დარწმუნოს დამფინანსებელი, რომ ამ იდეის ხორც-შესხმას სჭირდება დაფინანსება და მეცნიერი გამოყოფილ თანხას პრობლემის გადასაჭრელად გონივრულად გამოიყენებს.

მისივე თქმით, აპლიკაცია უნდა პასუხობდეს კითხვებს — განიხილავს თუ არა ის კარგად ფორმულირებული პრობლემა? წარმოდგენილი აპლიკაცია კვლევითი პრობლემაა თუ უბრალოდ ცნობილი მეთოდის რუტინული გამოყენება? არის თუ არა მნიშვნელოვანი აპლიკაცია დასმული პრობლემა, რომლის მოგვარებასაც დადებითი ეფექტი ექნება? ამ პრობლემის გადასაჭრელად დაფინანსება საჭირო თუ ეს შესაძლებელია სპეციალური დაფინანსების გარეშეც გაკეთდეს?

მე-4 გვერდში

ზაალ კოკაიამ სამეცნიერო ნაშრომის წერის ტექნოლოგიაზე ისაუბრა

მე-3 გვერდიდან

ზაალ კოკაიას რჩევით, მეცნიერმა ზუსტად უნდა განსაზღვროს — რა არის პრობლემა? რამდენად საინტერესოა იგი? რამდენად დაკავშირებულია ეს კვლევასთან? მოუტანს თუ არა ვინმეს სარგებელს ამ პრობლემის გადაჭრა?

ამ საკითხების პრაქტიკულად განსახორციელებლად ზაალ კოკაიამ წარმოადგინა ყველა დეტალი და ნიუანსი, რომელიც, საბოლოო ჯამში, წარმატებული სამეცნიერო აპლიკაციის „დანერგას“ განაპირობებს.

შეხვედრას ინტერაქტიული ხასიათი ჰქონდა. დამსწრე საზოგადოებამ ამომწურავი პასუხები მიიღო ყველა დასმულ კითხვაზე.

საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ცისკარიძემ ჩვენთან საუბარში კმაყოფილება გამოთქვა და განაცხადა, რომ პროფესორი ზაალ კოკაია ამგვარ შეხვედრებს კიდევ გამართავს, რაც ქართველი მეცნიერებისთვის ძალზე კარგი გაკვეთილი იქნება.

ალექსანდრე ცისკარიძე:

— ზაალ კოკაია გახლავთ ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერიმენტული მედიცინის და ლეროვანი უჯრედების ლაბორატორიის ხელმძღვანელი და, ამავდროს, ჩვენი უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი. შესაბამისად, იმ პროგრამის ჩარჩოში, რომლითაც ის თანამშრომლობს

უნივერსიტეტთან, ეს მისი რიგით მესამე ჩამოსვლა იყო. ამ ეტაპზე ვიზიტის მიზეზი გახლდათ მასტერკლასის ჩატარება აკადემიურ წერაში, რომელიც მოიცავდა ორ საკითხს — როგორ დაინეროს საგრანტო პროექტი და როგორ გაკეთდეს სამეცნიერო პუბლიკაცია მაღალი დონის საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალისთვის.

ზაალმა ეს კურსი ლუნდის უნივერსიტეტში მოამზადა. იგი მაღალი კლასის ექსპერტია და მისი რჩევები საინტერესო იყო ჩვენი მსმენელისთვის. მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც მედიცინის, ასევე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა და დოქტორანტებმა.

ზაალ კოკაიას შემდგომი ჩამოსვლა ივნისის დასაწყისში იგეგმება. იგი სტუდენტებისთვის და მეცნიერებისთვის ნაიკითხავს ლექციას ექსპერიმენტულ მედიცინაში. გარდა ამისა, ბატონი ზაზა ამჟამად ლუნდის უნივერსიტეტში გადის ტრენინგს ბიოსამედიცინო სწავლების თანამედროვე მეთოდებში, რის შემდეგაც, შემოდგომის შემსტრში იგი ჩვენ ჩავგიტარებს ტრენინგებს ე.წ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების შესახებ. ეს თანამედროვე სამედიცინო განათლების კურიკულუმის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გარეშე პრეკლინიკური დისციპლინები მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტებში არ ისწავლება. ამიტომ, კურიკულუმის გაუმჯობესებასთან ერთად, ვგეგმავთ ამ მეთოდის დანერგვასაც. ის კურიკულუმში, რომელსაც შემოდგომის

მის სემესტრიდან ვახორციელებთ და რომლითაც ჩვენი პირველკურსელები სწავლობენ, არის ინტეგრირებული კურიკულუმში და, ამ კუთხით, ჩვენ პიონერები ვართ საქართველოში.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ბატონ ზაალ კოკაიას, როგორც უნივერსიტეტის მონვეული პროფესორის, მოღვაწეობის სფერო მრავალმხრივია. ერთია სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, მეორე ჩვენი კურიკულუმის ექსპერტიზა და მესამე — საქართველოში შედური მოდელის ადაპტაცია და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

ბატონი ზაზა მაღალი დონის ექსპერტია კვლევის დაგეგმვასა და მენეჯმენტში და იგი ამ გამოცდილებასაც გვიზიარებს. ბედნიერი შემთხვევაა, როცა ასეთი დონის ექსპერტი გვასწავლის, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი სამეცნიერო ნაშრომები და პროექტები. მის კონსულტაციაში ყველა ასპექტი იყო გათვალისწინებული — როგორ უნდა გენერირდეს სამეცნიერო იდეა, როგორ ხდება მისი ხორცშესხმა და იდეის განვითარება, ვიდრე ის პროექტად გარდაიქმნება, როგორ უნდა დაინეროს პროექტი ტექნიკურად, რა ნიუანსებს უნდა მიექცეს ყურადღება, როგორი ტიპის ფონდებში უნდა გაიგზავნოს დასაფინანსებლად და, მიღებული დაფინანსების შემთხვევაში, როგორ უნდა წარიმართოს კვლევის პროცესი. მან ასევე გაგვიზიარა, როგორ უნდა დაგვირგვინდეს განულები მეცნიერული შრომა სამეცნიერო პუბლიკაციით, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდება.



ალექსანდრე ცისკარიძე

საზოგადოება, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა, კმაყოფილი დარჩა, რადგან კონკრეტულ კითხვებზე მიიღეს პასუხები. ბატონმა ზაზამ აღნიშნული მასალა ჩვენ დაგვიტოვა. იგი უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებაში გავრცელდება.

მეცნიერება

ჩვენს ცენტრში მიმდინარეობს მუშაობა „ლორის ბრიჯის“ თავისებურების შესასწავლად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა იაპონიის ქალაქ იოკოჰამას რიკენის ინსტიტუტის ომიქსის მეცნიერების ცენტრის ტექნოლოგიური განვითარების ჯგუფის უფროსი მეცნიერთანამშრომელი სანდრო ლეჟავა, რომელმაც უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა.

მაია ტორაძე

სანდრო ლეჟავამ 1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1992-96 წლებში იგი მოღვაწეობდა იაპონიის ქალაქ ხიროსიმას უნივერსიტეტში, სადაც მიკრობიოლოგიაში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ბაქტერიის გენომის სტრუქტურა და ცვლილებები“.

1996 წელს სანდრო ლეჟავა საქართველოში დაბრუნდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო მუშაობა.

1997-1999 წლებში სანდრო ლეჟავა მოღვაწეობდა აშშ-ის ოკლაჰომის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1999 წელს მან მიიღო მინვევა იაპონიის ქალაქ იოკოჰამას რიკენის ინსტიტუტში, სადაც დღემდე მოღვაწეობს და არის ომიქსის მეცნიერების ცენტრის ტექნოლოგიური განვითარების ჯგუფის უფროსი მეცნიერთანამშრომელი.

ლაბორატორია, რომელშიც ბატონი სანდრო მოღვაწეობს, ადამიანის გენომის სტრუქტურას და მეტაბოლიზმს შეისწავლის. სწორედ აქ შემუშავდა „სმარტ ამპლიფიკაციის“ მეთოდი, რომელიც დღეს მედიცინაში იმკვიდრებს ადგილს.

1 მაისს სანდრო ლეჟავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „პერსონალიზირებული მედიცინა და გენომის პოლიმორფიზმი“, რომელიც ამ დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას შეეხებოდა.

სანდრო ლეჟავამ ისაუბრა პერსონალიზირებული მედიცინის რაობაზე და იმ ტექნოლოგიების შემუშავების პროცესზე, რომელიც ომიქსის ცენტრში მიმდინარეობს. ბატონმა სანდრომ აღნიშნულ მეთოდზე ჩვენთან საუბარშიც გაამახვილა ყურადღება.

ინტერვიუ სანდრო ლეჟავასთან.

— ბატონო სანდრო, რა არის პერსონალიზირებული მედიცინა და განვითარების რა ეტაპზეა იგი?

— პერსონალიზირებული მედიცინა განვითარებადი დარგია და ჩვენ ამ პროცესში აქტიური წვლილი შეგვაქვს. მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ დღეს მუტაციის დეტექცია, მასთან დაკავშირებული ანომალიები და პოლიმორფიზმის დეტექცია მნიშვნელოვნად ვითარდება მოლეკულური დიაგნოსტიკასთან ერთად. რეკლუცია განიცადა სეკვენირების ტექნოლოგიაშიც.

როგორც ლექციაზე აღვნიშნე, ე.წ. სეკვენირების (ანუ ნუკლეოტიდური თანამიმდევრობის განსაზღვრა, რომლისგანაც ჩვენი დნმ, ანუ მემკვიდრული ფაქტორები შედგება) შედეგად დიდი ინფორმაცია დაგროვდა. ამ ინფორმაციის დაგროვების შემდეგ გავრკვევით, რომ არსებობს ძალიან ბევრი მუტაცია, რითაც ადამიანი განსხვავდება სხვა ადამიანებისგან. ეს მუტაციები განსაზღვრავს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ აგებულებას, სხვადასხვა ქიმიური კომპონენტის მიმართ მის მდგრადობას, ამა თუ იმ დაავადებადმი ორგანიზმის მიდრეკილებას და ა.შ. ამიტომ მნიშვნელოვანია სეკვენირების შედეგად ადამიანის გენომის განსაზღვრა.

არსებობს მეთოდები, რომელიც ადგენს ადამიანის ორგანიზმში მუტაციის არსებობას და ეს ხდება ჩვენი მეთოდის მეშვეობით, რომელსაც „სმარტ ამპლიფიკაციის“ (შმარტ მპლიფიკაციონ ეტპოდ) მეთოდი ჰქვია. ის აისახება პერსონალიზირებულ მედიცინაში, რომელიც ჯანდაცვაში უკვე მყარად იკიდებს ფეხს.

— იქნებ დავაკონკრეტოთ, რა არის ამ მეთოდის კლინიკებში დანერგვის მიზანი?

— მეთოდის დანერგვის მიზანი არის სხვადასხვა დაავადების მკურნალობა იმ მუტაციის გათვალისწინებით, რაც კონკრეტული ადამიანის ორგანიზმს გააჩნია. მეთოდი გულსხმობს იმას, რომ სამკურნალო დანიშნულების მიცემის დროს ექიმისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმის ნუკლეოტიდური თანამიმდევრობის შესახებ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მკურნალობის მეთოდის, ნაშლის სახეობისა და დოზის შერჩევა ორ-



სანდრო ლეჟავა

განიზმის მუტაციების გათვალისწინებით მოხდება. იაპონიის ზოგიერთ კლინიკაში ამას ისევე ითვალისწინებენ, როგორც ადამიანის წონისა და ასაკის თანაფარდობას.

— როგორ განისაზღვრება ეს მონაცემები, რა ხერხი არსებობს იმისთვის, რომ ადამიანმა გაიგოს საკუთარი ორგანიზმში არსებული მუტაციების შესახებ?

— გვყავს პარტნიორი კომპანია, რომელიც ჩვენი შემუშავებული მეთოდის მიხედვით ამზადებს ე.წ. „კიტებს“, ანუ ნივთიერებათა კომპლექტს, რომელსაც ვაგზავნი კლინიკებში, სადაც მათ დიაგნოსტიკისთვის იყენებენ. ამის გარდა, მიმდინარეობს მუშაობა ექიმების და ექთნების გადამზადებაზეც.

ჩვენ მათ ვთავაზობთ პაკეტსაც და მეთოდსაც. პაკეტში შედის რამდენიმე რეაგენტი, რომელიც სისხლის, თმის ღერის, ფრჩხილის ან ნერწყვის ანალიზის შედეგად განსაზღვრავს ორგანიზმში მუტაციის არსებობას.

ამ მეთოდით შეიძლება ასევე ინდივიდის განსაზღვრა, საჭმლის ვარგისიანობის განსაზღვრა და ა.შ.

ვცდილობთ, რომ ამგვარი ანალიზი მხოლოდ კლინიკაში კი არ განხორციელდეს, არამედ ადგილი და იაფი ხელმისაწვდომი გახდეს ადამიანისთვის. მაგალითად, ამ ეტაპზე ვმუშაობთ, რომ აღნიშნული მიზნით გამოვიყენოთ მობილური ტელეფონის ბატარეა.

— თუ გაქვთ მონაცემები, რომელი დაავადების სამკურნალო გამოიყენებენ ექიმები „სმარტ ამპლიფიკაციის“ მეთოდს?

— ძირითადად ეს გამოიყენება სიმსივნის დიაგნოსტიკის და მკურნალობის დროს დამხმარე მეთოდად. მაგალითად, ერთ კონკრეტულ ორგანიზმს რომელი წამალი შეესაბამება, ასევე, სხვა დაავადებებზეც მიმდინარეობს ანალიზი კვლევა.

— ბოლო დროს მსოფლიო მედიცინაში სხვადასხვა სახეობის გრიპის გავრცელებით, მაგალითად ე.წ. „ლორის გრიპი“, „ქათმის გრიპი“ და ა.შ. ხომ არ მიმდინარეობს მუშაობა თქვენს ლაბორატორიაში ამ დაავადებების შესასწავლად?

— ამ შემთხვევაში კომერციულობაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. დღეისთვის ჩვენს ცენტრში მიმდინარეობს მუშაობა „ლორის გრიპის“ თავისებურების შესასწავლად და ალბათ ერთ თვეში დაიდება პირველადი მონაცემი, გრიპის რა სახეობასთან გვაქვს საქმე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამ მონაცემების მიხედვით განისაზღვრება, რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს მასთან საბრძოლველად, ან ეს ვირუსები მდგრადია თუ არა რომელიმე წამლის მიმართ.

— თქვენი ვიზიტი ამჯერად გაცნობით ხასიათს ატარებდა. დაგეგმილი გაქვთ თუ არა საქართველოსთან სამეცნიერო კონტაქტების აღდგენა და სხვა ქართველი მეცნიერების ჩაბმა იმ სამეცნიერო მუშაობაში, რომელსაც თქვენ ახორციელებთ?

— ამჯერად თბილისში ვიმყოფები ბატონ იავორ კალანდაძის მონვევით. მისივე ძალისხმევით შევხვდი უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ გიორგი ხუბუას და შევეთანხმებო, რომ ვიქნები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი იაპონიაში, რაც იაპონელ მეცნიერთაგან მომავალში გარკვეული კონტაქტების დამყარების საშუალებას მოგვცემს. ვფიქრობ, გავალრმავო თსუ-სთან ურთიერთობა, თუ შექნება პროფესორის სტატუსი, შევძლებ მაგისტრანტებისა და სტუდენტების ნაყვანას სამეცნიერო საქმიანობაში ჩაბმის მიზნით.

თანამშრომლობის მიზანია მსჯავრდებული პირებისთვის განათლების მიღების უზრუნველყოფა

6 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მაია ტორაძე

მემორანდუმს ხელი მოაწერეს თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დირექტორმა შამსინმა.

თანამშრომლობის მიზანია მსჯავრდებულ პირებისთვის განათლების მიღების უზრუნველყოფა. მემორანდუმში განსაზღვრულია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღნიშნულ სამინისტროს დაეხმარება ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, მედიცინისა და სამართლებრივ სფეროებში. თავის მხრივ, სამინისტრო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობას სამინისტროს საკონსულტაციო ორგანოში.



მემორანდუმში ნათქვამია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს

დისციპლინარულ სწავლებას, უნივერსიტეტის პროფესორთა გასვლითი ლექციების ჩატარებას, ჰუმანიტარულ აქტივებს პატიმართა სამედიცინო კონსულტაციების განხორციელების თვალსაზრისით, ეპიდემიოლოგიური კვლევების დაგეგმვას და ჩატარებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, დანაშაულის გამომწვევი და ხელშემწყობი სოციალური, კულტურული და ფსიქიატრიულ-მენტალური ფაქტორების შესწავლას და დადგენას, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მეთოდების შესახებ საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგიურ გამოკვლევასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

„ეს თანამშრომლობა უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერთოს პატიმართა რესოციალიზაციის საკითხებში. ეს გახლავთ უნიკალური შესაძლებლობა, როდესაც სასჯელაღსრულების დანესებულებები საზოგადოებისთვის ღია ხდება — ამ შემთხვევაში საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სასჯელაღსრულების დანესებულების თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

საერთაშორისო სემინარი „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიაში“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკის კათედრისა და ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრმა (CEEED) მოიწვია შვეიცარიის ტექნიკური ფედერალური ინსტიტუტის (ციურიხი) პროფესორი რობერტ იორენი და ამავე ინსტიტუტის გარემოს შესახებ გადაწყვეტილებათა კვლევითი ინსტიტუტის აგრარული და გარემოს დაცვის ეკონომისტთა ჯგუფის მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერებათა მაგისტრი ფატიმა მამარდაშვილი. მათ ქართველ კოლეგებთან 29 მარტიდან 30 აპრილამდე გამართეს საერთაშორისო სემინარი თემაზე — „სამეცნიერო კვლევების მეთოდოლოგია“. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებისა და დოქტორანტებისთვის ცოდნის გაღრმავებას კვლევის მეთოდოლოგიაში, ასევე მიკროეკონომიკური პრობლემების შესწავლას კვლევის მაგალითების საფუძველზე, ევროპულ სივრცეში არსებული სწავლების მეთოდების, სტრუქტურისა და ორგანიზაციის გაცნობას.

შვეიცარიელმა კოლეგებმა სემინარის მონაწილეებთან დებატებში განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: სამეცნიერო კვლევის მეთოდები; კვლევის დაგეგმვა და საჭირო მეთოდების მისადაგება; მონაცემების ანალიზი; კვლევის მაგალითი მიკროეკონომიკაში; სწავლების მეთოდები; სწავლების სტრუქტურა და ორგანიზაცია. სემინარზე კვლევის მეთოდები განიხილეს კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

პროფესორმა რობერტ იორენმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა თანამედროვე კვლევის მეთოდებით მიღებულ სამეცნიერო შედეგებზე და ამ თვალსაზრისით წარმოადგინა „ფერმერული წარმოების მოდელები“, „შვეიცარიის რძისა და ხორცის ბაზრის ანალიზი“, „შვეიცარიის აგრარული სექტორის მოდელი — S ინტეგრალი“ და სხვა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალეი

კორპუსში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ ჯამლეტ ჯანჯღავასა და მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ ეთერ ხარაიშვილის ინიციატივით სტუდენტებისათვის პროფესორმა რობერტ იორენმა მიკროეკონომიკის კურსში ჩაატარა ლექცია თემაზე: „საფასო დისკრიმინაცია“; „ლაგრაჟის მეთოდი“. ლექცია ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა გამოამჟღავნეს არა მარტო ენის, არამედ ეკონომიკის პრინციპებისა და მიკროეკონომიკის საკითხების ღრმა ცოდნა, რითაც შვეიცარიელი პროფესორიც კმაყოფილი დარჩა. პროფესორმა პასუხი გასცა სტუდენტების შეკითხვებს. სტუდენტებს გადაეცათ ლექციების სრული კურსის ელექტრონული ვერსიები, რაც მათ დიდ დახმარებას გაუწევთ როგორც ლექცია-სემინარების საკითხების სიღრმისეულ გაცნობაში, ასევე სტუდენტური კვლევების განხორციელებაში.

„სემინარი სასარგებლო აღმოჩნდა მათთვის, ვისაც სურვილი ჰქონდა, პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა გაეღრმავებინა კვლევების სფეროში, ასევე მათთვის, ვისაც ამ მიმართულებით საკუთარი კარიერის განვითარება აქვს დაგეგმილი“, — აღნიშნა სემინარის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა ნინო ტალახაძემ.

დღეს თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება აუცილებელია არა მხოლოდ მეცნიერების, კერძო ორგანიზაციებისა და კომპანიებისათვის, არამედ სახელმწიფო დანესებულებებისთვისაც. მიღებული ცოდნის საფუძველზე სემინარის მონაწილეებს შემდგომში შეეძლებათ აქტიურად იმუშაონ კვლევით პროექტებში, რითაც შეძლებენ საკუთარი თეორიული ცოდნა მეტად დაუახლოონ რეალობას და უფრო ეფექტურად გადასცენ იგი სტუდენტებს. სემინარის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ შვეიცარიის ტექნიკური ფედერალური ინსტიტუტის მიერ გაცემული სერტიფიკატი.

რეზონანსი

შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისთვის მიცემული დაპირებები სრულდება

თამარ მარუაშვილი

19 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრაზე წამოიჭრა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას უშლის ხელს. ფაკულტეტის ტექნიკური ბაზა განახლებასა და გაძლიერებას საჭიროებს, რათა სტუდენტმა თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული ჩვევებიც გამოიმუშაონ, რომელიც პროფესიული დასაქმებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სტუდენტები ასევე მნიშვნელოვანია სრულფასოვანი სასწავლო პრაქტიკის გავლა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ტელემაუწყებლობის ნაკლები დაინტერესება მომავალი შურნალისტიკის დაოსტატების საქმეში, რასაც კადრების სიჭარბით ხსნიან.

შეხვედრის დროს, თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ მაქსიმალური თანადგომა აღუთქვა სტუდენტებს და შეპირდა, რომ წამოჭრილი პრობლემები უმოკლეს ვადაში გადაწყდებოდა. მას შემდეგ, დაახლოებით,

თვეზე მეტი გავიდა. საინტერესოა, რა გაკეთდა ადმინისტრაციის მხრიდან და რამდენად შესრულდა რექტორის დაპირება? ამ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე ირაკლი მამარაშვილი:

— შეხვედრაზე დასმული პრობლემების დიდი ნაწილი შეეხებოდა შურნალისტიკის მიმართულებაზე ტექნიკური ბაზის აღჭურვილობასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სტუდენტები მოითხოვდნენ ძვირადღირებული მიკროფონების შესყიდვას, რაც მათ თოქ-შოუების მოწყობისთვის საჭიროდობდა. თსუ-ის ადმინისტრაციამ ეს მიკროფონები შეისყიდა, ასევე შევიძინეთ ისეთი მიკროფონები, რომელიც ინტერვიუს ჩანერისთვის მეტად პრაქტიკულია. დამატებით, უახლოეს პერიოდში, შევიძინებ სხვა ტიპის სამუშაო მიკროფონებსაც.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციას თხოვნით მივმართეთ მოძველებული ტექნიკისა და დეკორაციების გადმოცემის თაობაზე, რამაც შედეგი გამოიღო — უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა 2 მაღალი ხარისხის ვიდეო-კამერა და იმედა, ამას არ ექნება ერთჯერადი ხასიათი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 600-მდე

სტუდენტს სულ 3 ვიდეო-კამერა აქვთ და მათთან მხოლოდ 2 ოპერატორი მუშაობს. მიმართულების სპეციალისტების დასაბუთების საფუძველზე კიდევ ერთი ოპერატორის საშტატო ერთეული დაიშვა და მასთან უკვე შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია.

დღეს ფაკულტეტს მხოლოდ 10-12 კომპიუტერი აქვს, რომელიც უკვე მოძველებულია იმ პროგრამებისათვის, რომელიც სტუდენტებს სხვადასხვა გადაცემის მომზადებისათვის საჭიროდობდა. კომპიუტერების შეძენა არ არის სწრაფად განხორციელებადი ოპერაცია. ტენდერის გამოცხადების საფუძველზე ხდება მათი შესყიდვა და ეს გარკვეულ დროს მოითხოვს.

სრულფასოვანი პრაქტიკის გასაველად მომავალი შურნალისტიკისთვის აუცილებელია საკუთარი თვალთ ნახონ ტელევიზიისა თუ გაზეთის რედაქციის მუშაობის სპეციფიკა. სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მაუწყებელს შევუთანხმდით. ასეთი ტრადიცია სულ ცოტა ხნის წინ არსებობდა თსუ-ში, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, ის შეჩერდა.

სხვა ტელეკომპანიების განსხვავებით, ამ ეტაპზე, მხოლოდ ტელეკომპანია „კავკასიამ“ გამოთქვა ურთიერთთანამ-

შრომლობის სურვილი და თსუ-ის სტუდენტებისთვის გამოყო ნახევარსაათიანი საერთო დრო. სექტემბრიდან სტუდენტებს საშუალება ექნებათ მოამზადონ გადაცემები და ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში გაუშვან. „კავკასიის“ ეთერში გავა აგრეთვე სტუდენტების მიერ მომზადებული გადაცემა „საწინდარი“.

ახალგაზრდებს სურვილი ჰქონდათ სხვა ტელეკომპანიებშიც გაეცლოთ სასწავლო პრაქტიკა, მაგრამ ტელევიზიების ხელმძღვანელები თავს იკავებენ ჩვენი თხოვნის შესრულებაზე. რაც შეეხება საგაზეთო პრაქტიკას, ეს უკვე მიმართულების ადმინისტრაციის პრეროგატივაა.

დროებით გადაუჭრელ საკითხად რჩება ბიბლიოთეკისთვის ფართის გამოყოფა, რაც თსუ-ში მიმდინარე ფარემონტო სამუშაოების გამო ვერ ხერხდება, მაგრამ სამომავლოდ ამასაც მოვაგვარებთ.

არ იფიქროს შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა, რომ რექტორთან შეხვედრა შედეგად მხოლოდ შეხვედრისთვის. თსუ-ის ადმინისტრაცია იმიტომ მართავს შეხვედრებს სტუდენტებთან, რომ მოგვარდეს ყველა ის ტექნიკური თუ სხვა სახის პრობლემა, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას უშლის ხელს.

ლექცია თემაზე: „თანამედროვე რუსეთის საბარეო პოლიტიკა და საქართველო“

თამარ მარუაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესწავლას ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ჯერ კიდევ 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი. მან პეტერბურგიდან ცნობილი პროფესორი მიხეილ პოლივეტოვი მოიწვია, რომელსაც სხვა სალექციო კურსთან ერთად რუსეთის ისტორიის სახანაგლო კურსიც მიჰყავდა.

1927 წელს თსუ-ში რუსეთის ისტორიის კათედრა დაარსდა, რომელიც 2006 წლამდე არსებობდა, ვიდრე აქ განათლების რეფორმა არ განხორციელდა.

1995 წლიდან რუსეთის კათედრასთან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სახანაგლო კაბინეტი არსებობდა, სადაც ამ საკითხებზე მეცნიერული კვლევები ტარდებოდა. როგორი ობიექტური იყო ეს კვლევები, ეს უკვე სხვა საკითხია, თუმცა ნაშრომების უმეტესობა საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენით იქმნებოდა.

„ამ ბოლო პერიოდში რამდენადმე ჩრდილში მოექცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მეცნიერულ დონეზე კვლევა. ამ ურთიერთობებზე უფრო მეტად საუბრობენ ჟურნალისტები, პუბლიცისტები, პოლიტიკოსები და ყველა, ვისაც კი რაიმე შეუძლია თქვას, მაგრამ ცოტა ვინმე თუ ცდილობს იმ დოკუმენტებსა და წყაროებს ჩახედვას, რომელიც ობიექტურად, დოკუმენტალურად ასახავს ურთიერთობების მთელ ისტორიას. ამ საკითხების მეცნიერული შესწავლა მოგვცემს იმის საფუძველს, რომ სამომავლოდ ეს ურთიერთობები სულ სხვა ჭრილში განვითარდეს და დარეგულირდეს“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსეთის ისტორიისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ცენტრის პროფესორმა, სამაგისტრო პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის“ ხელმძღვანელმა დალი კანდელაკმა.

განათლების რეფორმის გატარების დროს გადამწყვეტია, რომ ამ საკითხების მეცნიერული კვლევა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაგრძელდეს, მაგრამ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემსწავლელი კაბინეტის სახელით, არამედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ცენტრის სახელით, რომელიც რუსისტიკის ინსტიტუტის შემადგენლობაშია.

ამ მიმართულებაზე ნელს ამოქმედდა სამაგისტრო პროგრამა რუსეთისმცოდნეობა. ეს მულტიდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა, სადაც ისწავლება ამ ურთიერთობების ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე.

სტუდენტების ინიციატივით შეიქმნა სამეცნიერო წრე, რომელიც აქტიურად ჩაება ამ საკითხების მეცნიერულ შესწავლასა და კვლევაში.


1 მაისს თსუ-ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ცენტრის ინიციატივით, სალექციო კურსის „საუბრები რუსეთზე“ ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა ნიკა ვაშაკიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკა და საქართველო“. ამ საკითხთან დაკავ-

შირებით ისაუბრა ამავე ინსტიტუტის პროგრამების დირექტორმა კახა იმნაძემ.

„ჩვენ მონათესავე საკითხებზე ვმუშაობთ და ნებისმიერი ასეთი შეხვედრა ახალგაზრდების მონაწილეობით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. იმედი მაქვს, თანამშრომლობას მომავალშიც გაავრცელებთ“, — განაცხადა ნიკა ვაშაკიძემ.

რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტი წელს იანვარში დაფუძნდა, რომლის მიზანია რუსეთის გეო-პოლიტიკური ფაქტორების შესწავლა და რუსეთის განვითარების ტენდენციების შესახებ საექსპერტო ანალიზის შეთავაზება სახელმწიფო სტრატეგიისა და ფართო საზოგადოებისათვის.

„საქართველოს რუსეთთან მიმართებაში უფრო დიდი ლავირების საშუალება ჰქონდა აგვისტოს ომამდე, ვიდრე აგვისტოს ომის შემდეგ, რის შედეგადაც ეს არეალი და მანევრის სივრცე უკიდურესად შევიწროვდა. ამიტომ რუსეთის საკითხების შემსწავლელი ორგანიზაციების არსებობა დღეს ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელია. ჩვენ ვცდილობთ — ანალიზით, რეკომენდაციებითა და რჩევებით გარკვეული წვლილი შევიტანოთ ამ საკითხების უფრო ღრმა კვლევაში და შეძლებისდაგვარად დავუხმაროთ პოლიტიკის „მაფორმირებელ“ სპეციალისტებს.



ბევრს მიაჩნია, რომ ეს იმდენად ნაცნობი თემაა, რომ ამაზე ყურადღების დიდად გამახვილება არც კი ღირს. ასეთი ზეურელი მიდგომა, სამწუხაროდ, რეალურ პოლიტიკაშიც აისახა. ის მძიმე და სავალალო შედეგები, რომელიც გვაქვს დღეს რუსეთთან ურთიერთობების თვალსაზრისით, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული.

ასეთმა მიდგომამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ის უშიშროების პრობლემები, რის ნიშნადაც დგას დღეს საქართველო. ამ ინსტიტუტის თანამშრომლები და მეკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რუსეთის საგარეო და სამშინაო პოლიტიკის შესწავლას, მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტენდენციებს.

ჩვენ არ გვაქვს „ილუზია“, რომ სერიოზულ „გარღვევას“ მოვახდენთ ამ კუთხით. თვითონ ორგანიზაცია ახალი შექმნილია და ჯერჯერობით საკმაოდ მწირ ინტელექტუალურ

რესურსს ფლობს, მაგრამ, მეორე მხრივ, ინსტიტუტის საქმიანობაში ჩართული არიან საკმაოდ გამოცდილი, მაღალპროფესიონალი სპეციალისტები. ჩვენ ვთანამშრომლობთ ამ თემით დაინტერესებულ საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან და ორგანიზაციებთან“, — აღნიშნა ბატონმა ნიკა ვაშაკიძემ, რომელიც 2006-2007 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლდა.

სტუდენტებთან შეხვედრაზე ისაუბრეს რუსეთის საგარეო პოლიტიკის რამდენიმე საკვანძო და საინტერესო საკითხზე.

ბატონმა ნიკამ საინტერესოდ ისაუბრა, თუ როგორ აისახება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნიუანსები საქართველოზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე: „აგვისტოს ომი არ უნდა განვიხილოთ ისტორიული პროცესიდან ამოგლეჯილ კონტექსტში, ასეთი ურთიერთობა ჯერ კიდევ 9 აპრილის სისხლიანი დღიდან დაიწყო. საქართველოს არჩევანმა — საკუთარი თავის ინტეგრირება მოეხდინა ევროატლანტიკურ სივრცეში, რუსეთის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია“, — განაცხადა მომხსენებელმა.

მან ასევე დაწვრილებით ისაუბრა იმ პროცესების განვითარების მიმდინარეობებზე, რომელმაც საქართველოს მიმართ რუსეთის სტრატეგია განსაზღვრა.

ფენომენი. რუსეთი საბჭოთა კავშირის სამარ-თალმემკვიდრეა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მისი ეკონომიკური, დემოგრაფიული და სამხედრო პოტენციალი, ავტომატურად, საგრძნობლად შემცირდა — 270 მილიონიანი მოსახლეობა 146 მილიონამდე დავიდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ცდილობს აშშ-სთან ერთად მსოფლიო არენაზე თანასწორ პარტნიორის როლი ითამაშოს. მაგრამ ამერიკელებმა რუსებს დაანახეს, რომ ისინი რუსეთს თანასწორუფლებიან პარტნიორად აღარ თვლიდნენ და რომ ამერიკასთან ერთად ის ვეღარ აგრძელებდა მსოფლიო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებას. პრიმაკოვის დოქტრინით, მსოფლიოში მრავალპოლუსიანობა უნდა დამკვიდრებულიყო, რადგან არ შეიძლება მხოლოდ ერთი ზესახელმწიფო მართავდეს მსოფლიოს. რუსეთმა კონტრალიანსების ძეხვა დაიწყო, რათა გაენეიტრალებინა ის დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა, რომელიც განიცადა. მას ამ გზით უნდოდა, შეესუსტებინა ამერიკის ზეგავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაზე. იგი ცდილობს პოსტსაბჭოთაო სივრცეზე დომინირებისა და ბატონობის საშუალება მიეცეს“, — აღნიშნა მომხსენებელმა.

ნიკა ვაშაკიძემ, ასევე, საინტერესოდ ისაუბრა რუსეთის აგრესიული ენერგეტიკული პოლიტიკის თავისებურებებზე და ამ პოლიტიკის გატარების შედეგად ნარმოქმნილ პროცესებზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს თავისი შეხედულებები გაუზიარა არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის“ პროგრამების დირექტორმა კახა იმნაძემ.

„ყველა სათვის ცნობილია, რომ რუსეთი ვერ გახდა პოსტინდუსტრიული და ექსპორტზე ორიენტირებული სახელმწიფო, როგორც თუნდაც სხვა ევროპული სახელმწიფოები. იგი მხოლოდ ბუნებრივი ნიადაგის გამოყენებით, ერთგვარ მესამე კატეგორიის სახელმწიფოდ დარჩა, მაგრამ რადგან ბირთვული იარაღს ფლობს, მაინც პირველ კატეგორიაში მოიაზრება. ისტორიას თუ გადავხედვით, ყველა დიდი სახელმწიფო ექსპანსიონისტია. არ არსებობს მსოფლიოში ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც გარკვეულ პერიოდში ექსპანსია არ განხორციელებინოს.

ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ამერიკისა და რუსეთის ექსპანსია განსხვავებული ხასიათის მატარებელი იყო. რუსეთის ექსპანსიონიზმში ტერიტორიული პრინციპი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ევროპა დღეს ტერიტორიების გაფართოებისთვის აღარ „აზროვნებს“, მისთვის კოლონიები სასიცოცხლოდ აუცილებელი აღარ არის... რუსეთის აზროვნებაში კი ტერიტორიული მომენტი ისევ ძალაშია. რუსეთს არ ჰქონდა ე.წ. ტრადიციული კოლონიები, მაგრამ ჰქონდა მეტროპოლიების ერთგვარი ნაწილი. ამიტომ კავკასიის დაკარგვას მძიმედ განიცდის. რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში ეცდებოდა ტოტალური კონტროლი დაამყაროს კავკასიაზე“, — აღნიშნა ბატონმა კახა იმნაძემ.

სტუდენტებთან საუბარმა დისკუსიის სახე მიიღო და მომხსენებლებს ბევრ პრობლემურ კითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა. სალექციო კურსი „საუბრები რუსეთზე“ კვლავ გაგრძელდება და რუსეთის ისტორიისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ცენტრი კვლავაც საინტერესო სტუმრებს უმასპინძლებს.

თვალსაზრისი

აფხაზი ჟურნალისტის შთაბეჭდილებაები „დამოუკიდებელ“ აფხაზეთზე

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აგრძელებს უნივერსიტეტის საზოგადოების ინფორმირებას აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ. დღეს გთავაზობთ 2009 წლის 31 მარტს ერთ-ერთ აფხაზურ გაზეთში „Нужная Газета“ დაბეჭდილ სტატიას, რომლის ავტორი ანჟელა ინაპუბა შექმნილ სიტუაციაზე თავის შეხედულებას უზიარებს აფხაზ მკითხველს. ვფიქრობთ შემოთავაზებული მასალა, რომელიც რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ აფხაზური საზოგადოების ცნობიერებაში გარკვეულ გარდატეხას ადასტურებს, საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

ბანაჩენი
ქვეყნის აღიარება
მოქალაქეების გარეშე

სიტუაცია ტრადიციულია: საზღვრის გადაკვეთისას აფხაზეთის მოქალაქე რუს მესაზღვრეს აფხაზეთის პასპორტს გაუწოდებს. მესაზღვრეს სკეპტიკურად ეღიმიება და აფხ-

აზეთის მოქალაქისგან მოითხოვს აფხაზური პასპორტის რუსულ ანალოგს. თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ საზღვრის გადაკვეთაზე უარს ეტყვიან და იმართება სტანდარტული დიალოგი: რაკი რუსეთმა სცნო აფხაზეთი, მაშინ აფხაზური პასპორტიც უნდა აღიაროს. ეს უსარგებლო დავაა — გამოსავალი ორია: ან ქრთამი ან ამაყად უკან გაბრუნება. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტს რუსეთი არ სცნობს!

რეჟიმი

შევეცადოთ გავიგოთ — რას ნიშნავს აღიარება და მისი თანმდევი უკიდურესად ხელმეწყობი პირობების რეჟიმი (სად გამოწახეს ეს მტკივნეული სიტყვა — რეჟიმი?) და სინამდვილეში ვისთვის არის „ხელმეწყობი“ ეს რეჟიმი?

მამასადამე, ჩვენი ქვეყანა რუსეთმა აღიარა. როგორც ჩანს, მაღლობის ნიშნად ჩვენ ფაქტობრივად უსასყიდლოდ გადავცით ჩვენი ტერიტორია რუსეთის სამხედრო ძალებს (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენმა პარლამენტმა და მთავრობამ — თორემ ჩვენ ვინ რას გვეკითხება!) სიმბოლურ ფასად და სრულად არასიმბოლური დროით (49 წლით). გადავცით რუსეთს ვრცელი ტერიტორია სამხედრო ბაზების მოსაწყობად და რუსი სამხედროე-

ბის ოჯახების დასახლებლად. სოხუმის ზღვისპირა მონაკვეთი — სასტუმრო „Сухум“ — ნოვეგორდო, ჰექტრები „მოსკოვის სახლის“ ასაშენებლად. ლაკობას და აიდგილარას ქუჩების კუთხეში ადრე პარკის გაშენებას გეპირდებოდნენ, დღეს კი ამბობენ, რომ აქ რუსეთის ფედერაციის საკონსულო აშენდება (როგორც ჩანს, პარკის მშენებლობა ჩაიშალა), მომავალ საუღრეს ემ-იჯნება ის სასტუმროც, რომელიც 5000 დოლარად გაიყიდა და კიდევ ქალაქის ბრენდი — ორი სასტუმროსაგან შემდგარი კომპლექსი „კონტი“; შემდეგ მოდის ორი სანატორიუმი: ПВО და МВО და უზარმაზარი ტერიტორია სინოპში რუსეთის საელჩოს თანამშრომლებისათვის.

აფხაზი ჟურნალისტის შთაბეჭდილებები „დამოუკიდებელ“ აფხაზეთზე

მე-6 გვერდიდან

ყველაფერი, რაც სოხუმშია გაცემული, სასვებით საკმარისია იმისათვის, რომ პენსიონერებისათვის ღირსეული პენსია დაგვენიშნა და მათ არ ჰქონოდათ იმის განცდა, რომ რუსეთის შენეებით არსებობენ. შეგახსენებთ, რომ პენსიონერები ელექტრონის ყველაზე აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ. პენსიონერი არ უნდა ფიქრობდეს, რომ რუსეთზე დამოკიდებული მისი კეთილდღეობა. თუ კარგად ვიანგარიშებთ, სანაღამდეგო შედეგს მივიღებ, მაგრამ ჩვენი ანგარიში არავის უნდა. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ხნის წინ აგვისხნეს, რომ აფხაზეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც კორუფცია არ არსებობს. ეს იმიჯი უნდა შევიანარჩუნოთ. ეს კი ყველაზე ადვილია, თუკი ხალხს მცდარ შეხედულებებს ჩაუხუნერავთ.

ხომ არ გამოვსვალთ ელექტრონად?

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ყველაზე დიდი მიღწევა სავალი გზებია. მაგრამ როგორც პრესკონფერენციაზე რესპუბლიკის მეთაურმა აღნიშნა – გზები კეთდებოდა რუსი ტურისტების კეთილდღეობისათვის. ამიტომ მხოლოდ სოხუმამდე მოვიდნენ და თანაც მხოლოდ ქალაქის ცენტრამდე (ბოტანიკური ბაღი, ლეონის პროსპექტი). სავსებით ლოგიკურია – გზების მშენებლობას რუსეთი აფინანსებდა. როგორც ჩანს, ამ ქვეყანაშიც გაიგეს, რომ საჭიროა საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა. რუსებს მოსწონთ აფხაზური კურორტები – ე.ი. დასასვენებელ ქვეყანაში გზებიც იქნება. ეს ნორმალურია, როცა ქვეყანა თავის მოქალაქეებზე ზრუნავს, თუნდაც ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ იყოს. პატივს ვცემ ასეთ ქვეყნებს.

ჩვენს ხელისუფლებას კი როგორც ჩანს აღიარების სიხარულის ნიღაბზე ზოგი რამ არასწორად ესმის, სიხარულისაგან დაბნეულები არიან (შესაძლოა ამისი მიზეზი ორმხრივი მოქალაქეობაა) – ვერ გაუგიათ, რომელ ხალხზე უნდა იზრუნონ. ჩვენი კანონმდებლობა დაუფიქრებლად ესადაგება რუსეთისას, ჩვენს საინფორმაციო სივრცეში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე რუსული საინფორმაციო საშუალებები ბატონობენ,

ჩვენი მთავრობა ყველანაირად ცდილობს რუს ინვესტორს ასიამოვნოს, ჩვენი პარლამენტი იმით არის დაკავებული, თუ როგორ გაუადვილოს აფხაზეთში საკუთრების შეძენის პროცესი რუსეთის მოქალაქეებს.

ერთი უმარტივესი კითხვა არ მასვენებს: როგორ მიიღოს აფხაზეთის მოქალაქემ კანონიერად უფლება ზღვის პირას პატარა სახლის ასაშენებლად? იქნებ ამომრჩეველს ვინმემ აუხსნას ეს პროცედურა?

ან როგორ გაიგოს კანონიერად (და არა ნაცნობ-მეგობრების მეშვეობით) – თუ რა ფასად იყიდება ესა თუ ის ჩამონერული ქონება? თუნდაც ოლდენბურგელების სასახლე ან კულტურის სახლი? რომელ გზებით შეიძლება ამ ინფორმაციის ამოკითხვა?

დროულია, ჩვენს მთავრობას დაუფსავთ კითხვა: „მოსახლეობას ხომ არ გამოცვილიდით?“, მაგრამ მეშინია, ვაი თუ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგონ.

„ფანჯიკაზი“ – ქანავის ქალაქი

ჩვენ რა ვქნათ, ქვეყნის რიგობა მოსახლეობამ? ჩემს შორეულ ბავშვობაში როცა მოსახლეობას ტკბილედ უწოდებდნენ, ასეთი გართობა იყო მიღებული – კანფეტის ქალაქების შეგროვება. ჭამე კანფეტი შენ ან შენმა მეგობარმა, გაასწორე ქალაქი და შეინახე, შემდეგ სხვას აჩვენე და თავი იქე – ნახე, როგორი კანფეტი ვჭამეო. თუ ერთნაირი ქალაქები დაგიგროვებოდა, შეგეძლო გაგეცვალა. მე რომ ვინმე კანფეტის ქალაქს მთხოვდა, მჭუა შეეცდებოდა – არ ვიცო კანფეტების მიმართ ჩემი გულგრილი დამოკიდებულების თუ თავმონების უქონლობის გამო: მიკვირდა, რა საჭირო იყო შექმნილი კანფეტის ნივთიერი დადასტურება? როცა ნამოვიზარდე, მივხვდი, რომ თუ ადამიანს არ განუცდია კანფეტების სიუხვით მიღებული ბედნიერება, ის არც ქალაქების შეგროვებას ნამოინყვებს. კანფეტებთან დაკავშირებით ახლა პრობლემა არ არსებობს. ყოველი აფხაზის ოცნება დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ უკვე ახდენილია. ეს კი ძალიან რთულია – დარჩე გლობალური ოცნების გარეშე! და თითქოს ოცნების გაგრძელებათ, ჩვენ გვიხარია – ტელევიზიაში „აფხაზეთის რესპუბლიკად“ მოგვისხვნიებენ, ახალ რუკე-



ბზე ჩვენს დედაქალაქს „სუხუმ“ ჰქვია. შემდეგ რა იქნება, ვცდილობთ არ ვიფიქროთ. ალბათ აეროპორტს გახსნიან, ფრენის შესაძლებლობა გვექნება. დაე ილაპარაკონ, რომ ყველაფერი არც ისე იოლია, ეს აეროპორტიც „მთლად აფხაზური“ ვერ იქნება, რომ ხალხი და ბარგი, რომელიც ამ აეროპორტის მომსახურებით ისარგებლებს, თითქოს რუსეთიდან იქნება. მაგალითად, თქვენ თუ მანდარინისა ან მიმოზის სოხუმთან მოსკოვში წაღებას განიზრახავთ, პასპორტში აუცილებლად გაჩნდება რუსეთის შტამები.

ჰოდა, ახლა მე ვფიქრობ, თუ ეს ყველაფერი მართალია: იქნებ რუსეთმა ჯერ ჩვენი დამოუკიდებლობა ბოლომდე არ აღიარა, იქნებ რაღაც ქალაქები დარჩა ხელმოუწერიელი, ან იქნებ გოსდუმში ვინმეს ხელის აწება დაავინყდა? ან იქნებ მაგრად გაგვაბრძვივს და კი არ გვაღიარებს, არამედ მიგვიერთებს? მაშ როგორ ავხსნათ გადასახლება უნდა იქნება აეროპორტზე, ენგურის შესსა და რკინიგზაზე?

კიდევ ერთი შოკი – თქვენი პასპორტებით აფხაზეთში ისარგებლეთ, აქ კი რუსული წარმოადგინეთ“. არა, ეს უკვე წამდვილად

უხეშობაა. ჩვენ ხომ ბევრს არ ვითხოვთ, უბრალოდ ლამაზი შეფუთვა გვჭირდება. მაგალითად, „თქვენ ძალიან ლამაზი პასპორტი გაქვთ, ფერიც არაჩვეულებრივია, ფორმა ორიგინალურია, მაგრამ ცოტა გაუგებარია თქვენს ქვეყანას რა ჰქვია. თქვენი დოკუმენტი საპლანეტათაშორის სტანდარტებში არ ჯდება. ძალიან გვინდა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით“. მაშინ ჩვენ მოვძებნიდით იმას, ვინც ასეთი სტანდარტები დაამკვიდრა და მთელი ძალით შევეცდებოდით მის დისკრედიტაციას, რადგან ხელს გვიშლის მიზნის მიღწევაში. ოცნების შანსი ისევე გაგვიჩნდებოდა. აუღვებოდი და მთელი ქვეყანა მუშაობდა თავს დავანებებდით, დავინყვებდით სადღეგრძელოების მოგონებას, რომლებიც ხელს შეუწყობდა ჩვენს მიახლოებას საპლანეტათაშორის სტანდარტებთან.

ნიმუ ბერძენივილი

თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე

კონფერენცია

სტუდენტური რეგიონთაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია კონფლიქტების დარეგულირების კონფლიქტების დარეგულირების კონფლიქტების

თანამედროვე კონფლიქტები ინტელექტუალური პაექრობისა და დისკუსიების გზით უნდა მოგვარდეს – ასეთია საზოგადოების დაკვეთა. უნდა ითქვას, რომ ამ ფუნქციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმატებით ასრულებს, რასაც 27 აპრილს გამართული პირველი სტუდენტური რეგიონთაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია ადასტურებს, რომელიც „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

თამარ მარუაშვილი

კონფერენციის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი თამარ პაიჭაძე, კოორდინატორი – თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი კახაბერ ლორია. საორგანიზაციო კომიტეტი შედიოდა, აგრეთვე, თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი თამარ შარაბიძე და თსუ-ის მასწავლებელი ნინო მინდიაშვილი.

„პროექტი 2005 წლიდან მუშაობს. პირველად, ვინც თანამშრომლობის ხელი გამოგვიწოდა და ვის ბაზაზეც შეიქმნა ეს პროექტი, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ყოველთვის მხარში გვიდგას. პროექტის ფარგლებში დიდი ხანია მიმდინარეობს ფართო სამეცნიერო მუშაობა – ეს არის ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ ლექციების ციკლი, ალხანიშავია გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გორისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და თსუ-ს შორის.

კონფლიქტური რეგიონების უნივერსიტეტების სტუდენტებთან შეხვედრისას დაიბადა იდეა – ჩატარებულიყო ასეთი სახის სტუდენტური კონფერენცია, რომელიც ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს“, – განაცხ-

ადა კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა თამარ პაიჭაძემ.

კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მონაწილეობდნენ მომხსენებლები წმიდა გრიგოლ ფერაპის სახელობის თბილისის უნივერსიტეტიდან, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სსიპ გორის უნივერსიტეტიდან და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებიც შეუერთდნენ და კონფერენციაზე საინტერესო და მაღალი დონის ნაშრომები წარმოადგინეს.

როგორც თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა: „უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ის, რომ დღეს სტუდენტობა საქართველოში არსებული კონფლიქტების მონესრიგების ფორმება და გზებზე ფიქრობს და ცდილობს ადადგინოს ის ურთიერთობები, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები და სასიკეთო იქნება.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების სრული განეიტრალება არა თუ პრობლემატური, ილუზორულიც შეიძლება იყოს, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ ჩვენ ამ დაძაბულობის სრულ მოხსნასა და ნეიტრალ-

იზებას ვცდილობთ, არამედ ის, რომ ეს წინადადებები იყოს კონტროლირებადი პოლიტიკურ-სამართლებრივი არხებით და არ ჰქონდეს ისეთი დესტრუქციული ხასიათი, როგორც დღეს აქვს“.

ურთიერთობის დარეგულირებისთვის დიალოგის წარმართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ პერსპექტივისკენ, რომელიც ორივე მხარეს მშვენიერად ანადავს თანაცხოვრების გარანტიას მისცემს.

ურთიერთდიალოგის წარმართვა პროფესორულ ჯგუფებს შორის საგულეობა და აუცილებელია. სწორედ მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობაზე გადის გზა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან კიდევ უფრო ახლოებს და კეთილმოსურნე მეზობლად და მეგობრად აქცევს.

„ჩვენ მრავალეროვანი სახელმწიფო ვართ. ქართული ტოლერანტობა და ჰუმანიზმი ყველასთვის ცნობილია, ორივე მხარეს უნდა შეგვეძლოს ბოდიშის მოხდა და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ჩვენ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს ვაშენებთ და ქართველმა სტუდენტებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მისი განვითარების საქმეში“, – აღნიშნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ.

ახალი თაობის მნიშვნელოვან როლსა და მისიზზე ისაუბრა თავის მისასალმებელ სიტყვაში თსუ-ის პროფესორმა კახა ლორიამ, რომელმაც აღნიშნა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამ თაობას განსაკუთრებულ უფლებას აძლევს – მონაწილეობა მხარესთან უფრო კონსტრუქციული დიალოგის ჰქონდეს. „მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თაობა, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია არსებულ კონფლიქტში, ჩართულია დიდ მამულიშვილურ საქმეში და მზადაა დიალოგისა და ურთიერთობისთვის მეორე მხარესთან“, – აღნიშნა მან.

მე-8 გვერდი



სტუდენტური რეგონთაშორისი რისკუბლიკური კონფერენცია კონფლიქტების დარეგულირებისთვის

მე-7 გვირგვინი

„ამ კონფერენციის მასალების შინაარსიდან გამომდინარე ცხადია, რომ ქართველი სტუდენტობა კვლავ ავანგარდში დგას იმ საკითხებზე, პრობლემებზე ფიქრის, განსჯისა და მსჯელობის კუთხით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღეს ქართული საზოგადოებისთვის. ვისურვებდი, რომ ამ კონფერენციებს შეხვედრის სახე მიეცეს, სადაც თემატურად იქნება მსჯელობა ამა თუ იმ პრობლემურ საკითხებზე. ეს კიდევ ერთი შანსი იქნება სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების დაახლოებისა და შეხვედრებისათვის ურთიერთგაცვლისა“, — აღნიშნა პროფესორმა დარეჯან თვალთვაქმა, რაშიც მას სტუდენტები მარი ბუციტაშვილიც ეთანხმება, რომლის სურვილია მომავალ კონფერენციებს კონფლიქტური რეგონებიდან მოწვეული სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

„დარწმუნებული ვარ, რომ კონფერენცია უფრო მასშტაბური გახდება, ეს ის თაობაა, რომელიც თავისუფალია იმ განწყობისგან, რომელიც უფროს თაობას აქვს ამ კონფლიქტთან დაკავშირებით. ეს რომ ქართულსური ეთნოკონფლიქტი იყოს, მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა ოსური სოფლები კახეთში და მე ვერ ვიცხოვრებდი დღეს თბილისში ეთნიკური ოსის მეზობლად. ეს არის ომი არა ეთნოკონფლიქტის საფუძველზე, არამედ ომი იმპერიალისტურ რუსეთთან“, — განაცხადა ცირა ბარამიძე.

ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორმა ფრუდ შერმანდსგორდმა მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს სტუდენტების სკანდინავიისტიკის საკითხებით დაინტერესებისთვის და იმ პერსპექტივებზეც ისაუბრა, რომელიც თსუ-ში სკანდინავიისტიკის ცენტრის მუშაობას უკავშირდება.

კონფერენციაზე მისასაღებელი სიტყვებით გამოვიდნენ, აგრეთვე, ქუთაისისა და თელავის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებიც, რომლებმაც კონფერენციების მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრეს.

მთავარი დევიზი ამ კონფერენციისა კონფლიქტების მოგვარების გზების ძიებაა. კონფერენციის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მეცნიერების ფართო სპექტრი ნარმოდგენილი.

სექცია: სამართალმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია, რომლის ხელმძღვანელებიც არიან პროფესორები: ნანა მაჭარაშვილი და ირაკლი ყანდაშვილი. ნარმოდგენილი იყო

ნაშრომი თემაზე: „ინტერესთა კონფლიქტების ეთიკური პარადიგმები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“ (მომხსენებელი ნატო ფიცხელაური, თსუ). ამ ნაშრომში განხილულია საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციების დოკუმენტების მნიშვნელობა და მოცემულია ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით, კონფლიქტების გადაჭრის შესაძლო გზები.

ასევე საინტერესოა თსუ-ის სტუდენტის თინათინ ბერიშვილის მოხსენება: „კოლიზია გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის პატივისცა და ღირსებას შორის“, რომლის შედეგად, ხშირად იქნება საფრთხე ისეთი სამართლებრივი სიკეთების ხელყოფისა, როგორცაა ადამიანის პატივი და ღირსება, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.

წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის ირაკლი თეთრაულის მოხსენება: „საერთაშორისო სამართალი და თანამედროვეობა, მსოფლიო წესრიგის ახლებური ინტერპრეტაცია“ (ხელმძღვანელი პროფესორი ზ. ტაბლიაშვილი) ასახავს გლობალიზაციის და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პროცესში სუვერენულ სახელმწიფოთა როლს.

ნატოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე კონფლიქტების დარეგულირების საქმეში საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს თსუ-ის სტუდენტებმა: გიორგი ამირანაშვილმა (ხელმძღვანელი პროფესორი რუსხაძე) და ქეთევან კვიციანი (ხელმძღვანელი პროფესორი ლევან აღუქსიძე). გიორგი ამირანაშვილმა ისაუბრა ნატოს მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან მისიებსა და ოპერაციებზე, რომელთა ანალიზზეც გვიჩვენა, რომ ნატო-მ ღირსეულად უპასუხა მნიშვნელოვან გამოწვევებს და, როგორც რეგიონალურმა ორგანიზაციამ, გლობალური პასუხისმგებლობა იკისრა.

სექცია: ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ისტორია, კულტუროლოგია საკმაოდ მრავალფეროვანი თემატიკით იყო ნარმოდგენილი. ხელმძღვანელები გახლდნენ პროფესორები: ცირა ბარამიძე და დიმიტრი შველიძე.

თსუ-ის სტუდენტის გიორგი ქავთარაძის მოხსენებაში — „ილია ჭავჭავაძის იდეების ტრანსლოკაცია პოსტკოლონიურ საქართველოში“ (ხელმძღვანელი პროფესორი ვახტანგ გურული) გაანალიზებულია ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური აზროვნება, როგორც ისტორიული მოვლენა XIX საუკუნის საქართველოში, რომელმაც პოლიტიკური

აზროვნების გარეშე დარჩენილ ქვეყანაში ეროვნული სულის კვლავ აღორძინება გამოიწვია.

ასევე საინტერესოა თსუ-ის მაგისტრანტის ანა ბაქანიძის მოხსენება: „გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა აფხაზეთში“ (ხელმძღვანელი პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე), რომელიც ეპისკოპოსის დამსახურებასა და ავტორიტეტზე მოგვითხრობს აფხაზი ხალხის წინაშე.

სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ციცილო ხაოშვილმა („ფემინიზმი და ანტიფემინიზმი აშშ-ში XIX—XX საუკუნეებში“, ხელმძღვანელი პროფესორი მაისურაძე), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ვიქტორია მღებრიშვილმა („გლობალური ეკონომიკური კრიზისი აფხაზეთში“, ხელმძღვანელი პროფესორი ნარგიზა კანკია) და სხვა სტუდენტებმა.

სექცია: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (ხელმძღვანელები: პროფესორები გურამ ქუთელია და იოსებ ჩიკვაძე). ნარმოდგენილი იყო შემდეგი ნაშრომები: „მიკრობული გზით სამავალენტიანი ქრომის კომპლექსების ნარმოქმნის დინამიკა“ (მომხსენებელი დავით გვარჯელაძე, თსუ-ის სტუდენტი), „ქრომის აკუმულაცია arthrobacter-ის სახეობის ბაქტერიების უჯრედებში“ (ლევან ლომიძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი); „დნმ-ის თერმული დეგრადაცია მცენარეულ პროდუქტებში“ (მაცა ბაჩანიძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი); „მონაცემთა ბაზების დამუშავების მოდელი MS ACCESS-ში სასწავლო ცენტრის მაგალითზე“ (ლევან თეთრაშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

სექცია: ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ფილოსოფია, ისტორია, კულტუროლოგია. გაშუქდა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის, საერთაშორისო ურთიერთობების, რელიგიური მიმდინარეობების საკითხები.

სექცია: „სკანდინავიისტიკა“ (ხელმძღვანელი პროფესორები კახაბერ ლორია და ფრუდ შერმანდსგორდი). ნარმოდგენილი იყო ნაშრომები ნორვეგიისა და ევროკავშირის ურთიერთობებზე (ვასილ კუჭუხიძე, თსუ-ის სტუდენტი), ნორვეგიის ღირსშესანიშნაობებზე (ნათია ხონდოლიშვილი, თსუ-ის სტუდენტი) და

არქიტექტურაზე (ნინო ფორჩხიძე, თსუ-ის სტუდენტი). თსუ-ის სტუდენტის ნინო მეზურნიშვილის მოხსენება „რელიგიური ცხოვრება სკანდინავიაში“ გვიამბობს VIII—XII საუკუნეებში სკანდინავიელი ხალხის გაქრისტიანებაზე.

„ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის ფარგლებში გამართული სტუდენტურ რეგონთაშორის რესპუბლიკურ კონფერენციაზე ნარმოდგენილი მასალები საინტერესო და მაღალკვალიფიცირებული იყო.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ მომხსენებლები სხვადასხვა სექციებიდან: ნინო ტაბაქაძე თემისთვის „მუზეუმში, როგორც მხსიერების ადგილი“ (თსუ), ირინე ვარდანიანი — „ლუციფერის ეფექტი: როდესაც ჩვეულებრივი ადამიანები ბოროტებას სწადიან“ (თსუ), თეონა დალაკიშვილი — „ევროპა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, ასიმეტრიული ურთიერთდაპირისმართების გავლენა ევროპის საგარეო პოლიტიკაზე“ (თსუ), მარიამ ბუციტაშვილი — „ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“ (თსუ), ანა დოლიძე — „სიციცილის ხის სიმბოლური გაგებისათვის“ (თსუ), თეონა ქურთაული — „ბიოგრაფია პორტრეტის გარეშე როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანისათვის“ (სსიპ ზეგანიანი) (სსიპ გორის უნივერსიტეტი), მარიამ გიორგაძე — „ინცესტის პრობლემა გველის პერანგში“ (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი) და გიორგი ამირანაშვილი — „საერთაშორისო სამართალი და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ახლებური ინტერპრეტაცია“ (წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი).

კულტურათა დიპლომატიის, ინტელექტუალური „შერკინება“ ყოველთვის განაპირობებს ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთდობაზე დამყარებული სახელმწიფოს შენებას. სწორედ დიპლომატიური გზებით, ეკონომიკური მხარდაჭერით, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ინიციატივებით გახდება შესაძლებელი გადაიჭრას ის ძალისხმევით პრობლემები, რომელიც მესამე ძალის ინცენტირებით მოხდა და გამწვავდა.

ეს კონფერენცია ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია კონფლიქტების დარეგულირების, თანამშრომლობისა და ურთიერთდობის მოპოვების საქმეში.

მომნივლა აზრი საქართველოში ამერიკის შენახვის ინსტიტუტის ჩამოყალიბების თაობაზე

მიუხედავად 230 წლიანი ისტორიისა, მთელი კაცობრიობა აღიარებს ამერიკის ძლევაშეზღვევას, მის უდიდეს მიღწევებს ცხოვრების ყველა სფეროში და უდიდეს როლს უსოფლიო განვითარების საქმეში. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სკეპტიკურად უსურებენ და აფასებენ მის ისტორიას, წარსულს და თვლიან, რომ ამერიკელები დღესაც არ ჩამოყალიბებულან ერთიან ერად. ასეთი შეხედულება და თვალსაზრისი სხვადასხვა მიზეზებით აიხსნება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ამერიკა რომ დღეს ასეთი ძლევაშეზღვევა და ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყანაა, სწორედ რომ მისი ისტორიის დამსახურებაა. ქვეყნის წარმატებას განაპირობებს არა მისი არსებობის ხანგრძლივობა, არამედ პროგრესული და წარმატებული სახელმწიფოებრივი ხედვა და სახელმწიფოს მართვის სტილი. როცა ქვეყანაში საზოგადოების იდეოლოგიური საფუძველი ადამიანის უფლებების დაცვაზე, შემწყნარებლობასა და ურთიერთპატივისცემაზეა დაფუძნებული, მაშინ მისი განვითარება და გაძლიერება ეჭვგარეშეა...

თამარ მარუაშვილი

დღეს, როდესაც აღარ ვართ მოქცეული საბჭოთა იდეოლოგიის მარნუხებში, შეგვიძლია ობიექტურად შევფასოთ და შევისწავლოთ ამერიკის ფენომენი, მისი განვითარებისა და გაძლიერების მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორები.

სწორედ ამერიკისმცოდნეობის სხვადასხვა საკითხი გაერთიანებული კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები“, სადაც ამერიკელი და ქართველი მეცნიერების სტატიები თავმოყრილი. სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია და პრაქტიკულად, აშშ-ის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

კრებული გათვალისწინებულია ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტების, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

საქართველოში ამერიკისმცოდნეობის დამაარსებლები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის

ცენტრი, რომელიც 2002 წელს შეიქმნა ამერიკისტიკის ლაბორატორიისა (1994 წელი) და ამერიკის ისტორიის ცენტრის (1998 წელი) ბაზაზე. ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე ამერიკისმცოდნეებს აერთიანებს.

დასახელებული ორგანიზაციების უმთავრესი მიზანია აშშ-ის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, რელიგიის და ამ სახელმწიფოს არსებობა-ფუნქციონირების სხვა მრავალი სფეროს პროფესიულ დონეზე შესწავლა და ამ ცოდნის პოპულარიზაცია ქართული საზოგადოების ფართო ფენებში.

ამასთან დაკავშირებით, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, თსუ-ის პროფესორი, ბატონი ვასილ კაჭარავა ამბობს: „აღბათ, უპირველესი, რასაც ამერიკის მაგალითი გვასწავლის, არის პროფესიონალიზმის უდიდესი მნიშვნელობა. პროფესიონალიზმი კი ცოდნის, ნიჭის და გამოცდილების სინთე-


ზია. ამიტომაც მთელს მსოფლიოში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის არა მარტო პირად, არამედ მის პროფესიულ გამოცდილებასა და დამსახურებას. სწორედ დამსახურებისადმი უდიდესი პატივისცემაა ამერიკის წარმატების ერთ-ერთი უდიდესი საწინდარი“.

1998 წლიდან მოყოლებული თსუ-ის ამერიკის შესწავლის ცენტრმა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციამ ამერიკისმცოდნეობისადმი მიძღვნილი 8 საერთაშორისო კონფერენცია გამართა. თუ პირველ კონფერენციაზე მხოლოდ 15 გამომსვლელი იყო, 2006 წლის VIII კონფერენციის მუშაობაში 230-მდე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერმა, ასპირანტმა და სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რაც ორგანიზატორებისა და სპეციალისტების აქტიურ და მიზანმიმართულ მუშაობაზე მეტყველებს.

ამერიკის შესწავლის ცენტრების გახსნა თავის მნიშვნელოვან სიჭყვას იტყვის ქართულ-ამერიკული ურთიერთობის შესწავლის საქმეში, როგორც წინდა აკადემიურ, ასევე პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

პროფესორმა ვასილ კაჭარავამ ისაუბრა იმ პერსპექტივებზე, რომელიც ქართველ სტუდენტებს უფრო მეტად ინფორმირებულია და მომზადებულს გახდის ამ საკითხების შესწავლის და სერიოზული ანალიზის მომზადების საქმეში.

„მომნივლა აზრი საქართველოში ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის ჩამოყალიბების თაობაზე. ამისათვის საკმარისად კარგი ბაზა არსებობს. გვყავს ფულბრაიტერ პროფესორთა მნიშვნელოვანი კორპუსი, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჩვენს ამერიკულ კოლეგებთან, გვაქვს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა.“



აღნიშნული ინსტიტუტი გვესახება არა მარტო როგორც საკონსულტაციო და საინფორმაციო სტრუქტურა, არამედ, უპირველესად, როგორც სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც საქსპერტო სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს და კვალიფიციურ კადრებს მოუშადადებს ჩვენს სამშობლოს“, — აღნიშნა მან.

ასევე იგეგმება ამერიკის ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცემა, გამოცემისთვის მზადდება კიდევ არა ერთი მონოგრაფია, რომელიც ამერიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ასახავს.

მე-9 გვირგვინი

მომავლელ აზრი საქართველოში ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის ჩამოყალიბების თაობაზე

მე-8 გვერდიდან გამოიცა მორიგი კრებული – „ამერიკის შესწავლის საკითხები“

22 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისტიკის ცენტრში კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები“ გამომავალი და დაგეგმვის პროექტის მსახიობნი დაგეგმვის პროექტის მსახიობნი დაგეგმვის პროექტის მსახიობნი...

„ამერიკული რევოლუციის თეორიზაცია, სოციოლოგიური ინდიკატორები“ (მაიკლ ბარტონი, ამერიკის შესწავლის და სოციოლოგიის პროფესორი, პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰარისბურგი, აშშ); „აშშ-ის მიერ ტექსასის დაპყრობის ისტორიიდან“ (გივი ბოლოთაშვილი, თსუ-ის პროფესორი); „ერთი ფურცელი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიიდან“ (გიორგი გოცირიძე, თელავის ი. გოგვაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); „ამერიკის შეერთებული შტატების წვლილი საბჭოთა კავშირის დაშლაში“ (ვახტანგ გულგუნი, თსუ-ის პროფესორი); „ვინ მოიპოვებს მორალურ გამარჯვებას შეერთებული შტატების ომში ტერორიზმის წინააღმდეგ“ (სპენსერ ბ. მე-რედითი, III); „აშშ-ისა და რუსეთის როლი კავკასიის ინტეგრაციულ პროცესში“ (ვაჟა კაკაბაძე, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის და ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის პროფესორი); „მშვიდობა, მხატვრული ლიტერატურა და ნარმო-სახვა: კინგსტონის „მშვიდობის მუსუტი ნიგანი“ (დევიდ პალუმბო-ლოუ); „გლობალიზაცია, ამერიკა, მსოფლიო“ (ირაკლი ყანიშვილი, თსუ-ის პროფესორი); „მომსახურების სწავლება და მოქალაქეობრივი აქტიურობის მრავალმხრივი მოდელი“ (რობერტ რაიხი); „რა არის ამერიკული ამერიკულად?“ (მაიკლ-არონ როკლენდი) — აი, ეს არის იმ მნიშვნელოვანი საკითხების ნაწილი, რომელსაც კრებული წარმოგვიდგენს.

„ამერიკული რევოლუციის თეორიზაცია, სოციოლოგიური ინდიკატორები“ (მაიკლ ბარტონი, ამერიკის შესწავლის და სოციოლოგიის პროფესორი, პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰარისბურგი, აშშ); „აშშ-ის მიერ ტექსასის დაპყრობის ისტორიიდან“ (გივი ბოლოთაშვილი, თსუ-ის პროფესორი); „ერთი ფურცელი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიიდან“ (გიორგი გოცირიძე, თელავის ი. გოგვაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); „ამერიკის შეერთებული შტატების წვლილი საბჭოთა კავშირის დაშლაში“ (ვახტანგ გულგუნი, თსუ-ის პროფესორი); „ვინ მოიპოვებს მორალურ გამარჯვებას შეერთებული შტატების ომში ტერორიზმის წინააღმდეგ“ (სპენსერ ბ. მე-რედითი, III); „აშშ-ისა და რუსეთის როლი კავკასიის ინტეგრაციულ პროცესში“ (ვაჟა კაკაბაძე, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის და ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის პროფესორი); „მშვიდობა, მხატვრული ლიტერატურა და ნარმო-სახვა: კინგსტონის „მშვიდობის მუსუტი ნიგანი“ (დევიდ პალუმბო-ლოუ); „გლობალიზაცია, ამერიკა, მსოფლიო“ (ირაკლი ყანიშვილი, თსუ-ის პროფესორი); „მომსახურების სწავლება და მოქალაქეობრივი აქტიურობის მრავალმხრივი მოდელი“ (რობერტ რაიხი); „რა არის ამერიკული ამერიკულად?“ (მაიკლ-არონ როკლენდი) — აი, ეს არის იმ მნიშვნელოვანი საკითხების ნაწილი, რომელსაც კრებული წარმოგვიდგენს.

კრებულში შესული სტატიები კულტურის განვითარების თითქმის ყველა ასპექტს მოიცავს და მკითხველს ზოგად წარმოდგენას უქმნის ამერიკული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის განვითარების თავისებურებებსა და მიმდინარეობებს. ამ მხრივ საინტერესოა ირმა ბაგრატიონის სტატია „ამერიკული აბსტრაქციული ექსპრესიონიზმის ესთეტიკური ასპექტები“; ნინო დავითაშვილის — „ლეგენდა და სიმართლე ჯახის შესახებ, ბლუზის დაბადება“; ბაია კოლუაშვილის — „XX საუკუნის 20-იანი წლები — ამერიკული ნოველა“, თეა ურუშაძის — „1920-30-იანი წლების ამერიკული სცენაროგრაფიის თავისებურება“; დავით ჩიჩუას — „კომპოზიციური-სივრცული გამოხატულების განვითარება თანამედროვე ამერიკულ არქიტექტურაში“ და სხვა.

კრებული გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური ცხოვრებისა და განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებზე, თუ რა პროცესები ახდენდა გავლენას ამერიკის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, როგორც: საერთაშორისო ვაჭრობა, ეროვნული წარმოების მოცულობა და სტრუქტურა, დასაქმება, ასევე, თუ რა ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს ამერიკის ხელისუფლება დღეს და სხვა საკითხები.

ეკონომიკური თემის სტატიები აშშ-ის ეკონომიკის მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აშშ-ში (მერაბ აბდალაძე, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი); „აშშ-ის პროტექციონისტული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ასპექტები“ (გელა ალადაშვილი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); „ამერიკული ტექნოლოგიები გლობალიზებულ მსოფლიოში“ (გიორგი ანთელავა, ისტორიის მეცნიერი-პროფესორი) და სხვები.

„ამერიკული ეკონომიკის, ბიზნესის და მენეჯმენტის სხვადასხვა სფეროს შესწავლა პროფესიულ დონეზე და ამ ცოდნის პოპულარიზაცია საქართველოს საზოგადოების ფართო ფენებში, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის განვითარების და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში — ეს ყოველივე მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის.“

„საქართველოში აშშ-ის საელჩო აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შესწავლის ცენტრთან და ფინანსური თუ ინტელექტუალური რესურსით ყოველთვის მხარში უდგას მას. იმედს მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთ-თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და მრავალი საინტერესო პროექტისა თუ ღონისძიების ორგანიზატორები და მხარდამჭერები ვიქნებით“, — განაცხადა საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელმა სოფო ბიზივილიძემ.

„ურთიერთთანამშრომლობისა და თანადგომის ასეთი მაგალითი უდავოდ მისასალმებელია, რაც ორი ქვეყნის დაახლოებას, სამეცნიერო თანამშრომლობის სტიმულირებას, პარტნიორობის გაღრმავებასა და განვითარებას უწყობს ხელს.“

სწორედ ამ ეგვიდით, 28-30 მაისს ამერიკის შესწავლის ცენტრი ატარებს ამერიკისმცოდნეობის მეცნიერების საერთაშორისო კონფერენციას „ამერიკული დემოკრატიის გამოცდილება“, სადაც განხილული იქნება აგრეთვე ლათინური ამერიკისა და კანადის საკითხები.

კომუნიკაცია

ქართულ-ვაინახური კულტურულ-ისტორიული კავშირები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქრისტიანული კვლევის ცენტრი“ გაიხსნა. ცენტრის პრეზენტაცია 2 აპრილს გაიმართა. ალანშიზიანი, რომ ახალი კვლევითი ორგანიზაციის დაფუძნების ინიციატორები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არიან. წმინდა გრიგოლ ერვანიძის სახელობის „ქრისტიანობის კვლევის ცენტრს“ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მიხეილ ქართველიშვილი უხელმძღვანელებს.

შურთხინა პაროპილი

23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „კავკასიის ფონდის“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და „ასიროლოგია, ბიბლიესტიკა და კავკასიოლოგია საზოგადოების“ ინიციატივით საერთაშორისო კონფერენცია — „ქართულ-ვაინახური კულტურულ-ისტორიული კავშირები“ გაიმართა. კონფერენციაზე საპატიო სტუმრებად მონაწილეობის იყენებენ ამ დღიე ეთნოსის გამორჩეული წარმომადგენლები, მწერლები, მხატვრები და საზოგადო მოღვაწენი: ალა დუდავა, მარია სულტიკოვა, ედილბეკ ხანმაგამალოვი, ისსა ქაძოვეი, მეკა ხანგოშვილი და სხვები.

შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, კავკასიის ფონდის პრეზიდენტი გივი ლამბაშიძე, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იულენ გაგომიძე, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მერაბ ჩუხუას, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრები: ნუგზარ ნიკლაური, პაპუნა დავითაია. ღონისძიების ფარგლებში ახალი წიგნების: მერაბ ჩუხუას — „ბიბლიო-ინჟერული ენათა შედარებითი გრამატიკა“, ისსა ქაძოვეის — „უფსკრულზე“ და „ღალი“ და ნანა ნოზაძის — „სურათი ენის ლექსიკა“ პრეზენტაცია გაიმართა.

შეხვედრა „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტმა გივი ლამბაშიძემ გახსნა, რომელმაც ვერცხლად მიმოიხილა ქართულ-ვაინახური ურთიერთობები და აღნიშნა, რომ შემთხვევითი არ არის, რომ ვაინახური დღეები თბილისში იმართება. „ჩვენი ფონდის მთავარი მიზანია ამ ურთიერთობების აღორძინება. ქარ-

თველი მეცნიერები მრავალი წელია ვიკვლევთ ქართული კულტურის ძეგლებს ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში. 1969 წელს პირველად მოეხვედრე ინფორმაციის და აღმოაჩინე საოცარი ქვეყანა თავისი ისტორიით, კულტურით და ხალხით. ჩვენი ურთიერთობები მრავალაათასწლიანია. კონფერენციას ესწრებთ ცნობილი ენათმეცნიერები თუ არქეოლოგები, რომლებმაც კარგად იცნან, რომ მიწის ნალში და ენობრივ შრეებში ჩაუბრუნებელია ის უამრავი ინფორმაცია, რაც კავკასიის ხალხთა შორის გენეტიკურ თუ კულტურულ კავშირზე მეტყველებს“.

გივი ლამბაშიძის ინფორმაციით, ივლისის მიწურულს „კავკასიის ფონდის“ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით თბილისში გაიმართება კავკასიოლოგია აკადემიური სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც მეცნიერები ახალ კვლევებს წარმოადგენენ. მონაწილე სტუმრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მიმართა: „დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ღონისძიება კიდევ უფრო განამტკიცებს კავკასიური ერთიანობის შეგრძნებას ქართველებსა და ვაინახებს შორის. ჩვენი სურვილია, რომ ეს კონტაქტები არა მარტო შენარჩუნდეს, არამედ მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდეს. სწორედ ასეთი შეხვედრები მისცემს იმპულსს თანამშრომლობის გაღრმავებას ქართველ და ვაინახულ ახალგაზრდებს შორის. ბევრი, მათ შორის, ხელოვნურად შექმნილი პრობლემის გამო მათ უჭირს საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ეს პრობლემა აღარ იარსებებს“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში. მან პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

როგორც უნივერსიტეტის პროფესორმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს არის ორი უძველესი ეთნოსის ისტორიული, კულტურული და ენობრივი კავშირების გამოხატულება. „მისასალმებელია, რომ ეს ურთიერთობები

აღდგა, რადგან დიდი ხნის მანძილზე, გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო, ჩვენს შორის კავშირი განწყვეტილი იყო. მართალია, ამჟამად ვაინახები სხვა პოლიტიკურ სივრცეში არიან, მაგრამ ისინი ჩვენი მონათესავე ხალხია. ტრადიციულად კავკასიელების მთავარი მასპინძელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. მათი წარმომადგენლები არაბულად ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებულ იბერიულ კავკასიოლოგია სკოლაში სწავლობდნენ. ამ ტრადიციას ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი“, — აღნიშნა ცირა ბარამიძემ. მისი აზრით, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის პარალელურად მნიშვნელოვანია რეგიონალიზაციის პროცესის წარმართვა. „ეს გარდაუვალი პროცესია. ჩვენ რამდენადაც არ უნდა მოვიხილოთ ინტეგრაცია ევროპასთან, უპირველეს ყოვლისა, ინტეგრაცია საჭიროა ჩვენი რეგიონის ხალხებთან. მეცნიერები დღეს ბევრს საუბრობენ კავკასიური ცივილიზაციის შესახებ. მისი ძირითადი, ძირძველი წარმომადგენლები არიან ვაინახები, ჩვენები, ინგუშები, ლეზგი-თუშები საქართველოში და ქისტები პანკისის ხეობაში.“

საქართველოში მათი ინტეგრაცია შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ქართველები ბუნებით ტოლერანტულნი ვართ, რადგან ვიცით, რომ ისინი ჩვენი ძმები არიან“, — განაცხადა ცირა ბარამიძემ.

მონაწილე სტუმრებს პარლამენტარი ნუგზარ ნიკლაურიც მიესალმა. „აქ ძალიან ბევრი ყურადღება ითქვა ითქვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს მეგობრობას და ურთიერთთანამშრომლობას. ის, რაც ხდება სამხრეთ კავკასიაში, მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ კავკასიისთვისაც და, შესაბამისად, საქართველოსათვის. ქართველების და ვაინახების ისტორიულ-კულტურული კავშირები იმდენად გადაჯაჭვდა ერთმანეთს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება ნებისმიერი მიმართულებით წარმოუდგენელია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირების გარეშე. მინდა გავიხსენო მეფე ივანე IV-ის მკვლელობის ისტორია, როდესაც იგი ვაინახის ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იპოვა განძი, რომლითაც შემდეგ გაათავისუფლა საქართველო. ეს განძი სიმბოლოურად სიქველის, ვაჟკაცობის, გაუტყვევლობის განძია, რომელსაც ეს ხალხი საუკუნეების მანძილზე ატარებდა. მრავალი ისტორიული მაგალითი არსებობს იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ უნდა ვიყოთ

ერთად: ამის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი დადასტურება ჩვენთვის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევისა და საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ურთიერთობა. ამ ურთიერთობის ნიადაგზე შეიქმნა ახალი ეპოქა, რომელიც საფუძვლად უდნა დაედოს მომავალი ჩვენი ხალხების ურთიერთობას“, — აღნიშნა ნუგზარ ნიკლაურმა.

გულთბილი შეხვედრისთვის მასპინძლებს მადლობა გადაუხადეს ვაინახელმა სტუმრებმაც. ჩვენთვის დამოუკიდებელი საზოგადოების ნევრმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისათვის“ დამფუძნებელმა ტაისა ისაევამ, ჯოხარ დუდაევის მეუღლემ ალა დუდაევამ და სხვა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ქართველებს კავკასიური სტუმარ-მასპინძლობისთვის.

ღონისძიებაზე ჩამოადგენილ ახალ წიგნებს სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს. როგორც ცირა ბარამიძემ აღნიშნა, მერაბ ჩუხუას ახალი ნაშრომი წარმოადგენს კაპიტალურ მონომოგრაფიულ ნაშრომად, რომელიც ბიბლიო-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ძალიან დიდ ნახტომად შეიძლება ჩაითვალოს. ლინგვისტიკა არის ის არქეოლოგია, რომელიც ენობრივ მასალას მოიძიებს და, აქედან გამომდინარე, მოიცავს შენარჩუნებული ენათმეცნიერების ისტორიის უდასტურებელ და დაუზრუნველ ნაშრომებს. როგორც ცირა ბარამიძემ აღნიშნა, საქართველოს უნდა დაუზრუნდეს ის განსაკუთრებული მისია, რომელიც წლების მანძილზე ჰქონდა, რაც სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა გახდეს“, — აღნიშნა ცირა ბარამიძემ.



www.tsu.ge

კონსტანტინე ფალავას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

2 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა ცნობილი ირანისტიკის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კონსტანტინე ფალავას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი მოვთაბა დამირჩილუც დაესწრო.

შურთხია ბაროშვილი

კონსტანტინე ფალავამ უნივერსიტეტში მოღვაწეობა 1941 წელს დაიწყო. 1945-1950 წლებში იგი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი მოადგილედ, მოგვიანებით კი ამავე ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა. მისი მოღვაწეობის დროს აღმოსავლური ფილოლოგიის დარგში შეიქმნა და გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მომზადდა მრავალი ასპირანტი, რომლებიც დღეს ცნობილი მეცნიერები არიან, შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების წინაპირობა.

პროფესორ ლილი ყორჭოლიანის ინიციატივით, ცნობილი ირანისტი ასამდე მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათგან აღსანიშნავია: „ნიზამი“, „ახერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობები“, „მირზა ფათალი ახუნდოვი“, რომლებიც ცალკე წიგნებადაა გამოქვეყნებული.

საქციალისტიკის შეფასებით, კონსტანტინე ფალავას შრომები, ძირითადად, სპარსული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს ეხება. ესაა სპარსული ლიტერატურის უდიდესი ძეგლების „შაჰ-ნამეს“, „ვისრამიანის“, „ელემაჯ-ნუნანის“, „ხოსროვირინიანის“ და სხვა სიუჟეტების წყაროების ძიებასა და მათ ავტორთა — ფირდოუსის, გორგანის, ნიზამის და სხვა კლასიკოსთა მხატვრული აზროვნების სპეციფიკის კვლევის საკითხები.

მისი დროის ირანისტიკის შორის კონსტანტინე ფალავა პირველი მეცნიერია, რომელმაც „შაჰ-ნამეს“ შესწავლა მისი ცალკეული



ეპიზოდების კვლევით დაიწყო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „რომანული ეპიზოდების შესწავლისთვის ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“. ასევე საინტერესოდ აღწერს იგი ნიზამის შემოქმედებას.

კონსტანტინე ფალავას მეცნიერულ საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე სპარსული ლიტერატურის შესწავლას. ესაა თანამედროვე სპარსულ პროზაში დემოკრატიული მიმდინარეობის დახასიათება, თანამედროვე მწერლების: ბოზორგ ალა-

ვის, სადეე ჰედაიათის, ეჰსან თაბარისა და სხვათა შემოქმედების საკითხების შესწავლა.

მეცნიერმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა სპარსული დრამატურგიისა და სპარსული რომანის კვლევის საკითხებსაც.

ირანისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღებას იქცევს მისი ნარკვევები კრიტიკული რეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის სპარსულ ლიტერატურაში, რომელსაც მან ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა. მეცნიერმა ამომწურავად გამოიკვლია სპარსული რეალიზმის ჩასახვისა და განვითარების ისტორია.

როგორც ლილი ყორჭოლიანმა აღნიშნა, კონსტანტინე ფალავას მოღვაწეობა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავებას ემსახურებოდა და ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია.

სამეცნიერო კონფერენციის მნიშვნელობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამაც ისაუბრა და მნიშვნეულ სტუმრებს აღუთქვა, რომ ქართულ-ირანული ურთიერთობის გაღრმავების პროცესს უახლოეს მომავალში კვლავ ექნება პოზიტიური გავრცელება.

ლონისძიების მონაწილეებს საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი მოვთაბა დამირჩილუმ მიმართა. „დღევანდელი კონფერენცია საუკეთესო შესაძლებლობაა იმისათვის, რომ ვისაუბროთ ქართული ირანისტიკის განვითარების შესახებ საქართველოში, რომელსაც დიდი ტრადიცია აქვს. ქართული ირანისტიკის სკოლა გამორჩეულია, რითაც ორივე მხარე შეიძლება იამაყოს. სამწუხაროდ, ქართველოლოგია ირანში ჯერჯერობით არ არის ასე პოპულარული და, ამ თვალსაზრისით, მეტი ყურადღების გამოჩენა გვმართებს. როგორც ბატონმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, თსუ-სა და ირანის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობა უნდა გააფართოვდეს,“ — აღნიშნა მოვთაბა დამირჩილუმ.

კონსტანტინე ფალავას საიუბილეო კონფერენციას უძღვევოდა ცნობილი ირანისტი, პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი. სამეცნიერო მოხსენებების მრავალფეროვანი თემატიკა წარმოადგინეს უნივერსიტეტისა და გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორებმა: მ. კვაჭაძემ (კონსტანტინე ფალავა — კლასიკური სპარსული ლიტერატურის მკვლევარი), მ. ბურჯანაძემ (კონსტანტინე ფალავა — ახალი სპარსული ლიტერატურის მკვლევარი), ქ. მეგრელიშვილმა (კონსტანტინე ფალავა — ახერბაიჯანულ-ქართული კულტურული ურთიერთობების მკვლევარი), ჯ. გიუნაშვილმა (კონსტანტინე ფალავა — უცხოური ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ისლამურ ირანში), გ. სანიკიძემ (ახლო და შუა აღმოსავლეთი. ტერმინთა ისტორიისათვის), ი. ფალავამ (დადიანის მონეტა სეფიანი შაჰის სახელით), ი. კალაძემ (ნორმატიული პოეტიკის თეორია და შუა საუკუნეების სამიჯნურო რომანი (გორგანის, ნიზამის, რუსთაველის შემოქმედების მაგალითზე)), მ. სახოკიამ (ნორმა და ვარიანტი, ნეოლოგიზმი და არატრადიციული მორფოსინტაქსემები სპარსულში), გ. ლობჯანიძემ (აბას ქიაროსთამი: პოეზიის კადრირება და მინიმალისტური ლექსის ტრადიცია სპარსულ ლიტერატურაში), ნ. გელაშვილმა (შაჰ ისმაილ II და ქართლის მეფე სიმონ I), მ. ალექსიძემ (ქალი და მორალის საკითხები XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა წიგნებში), ფ. ანთაძემ (პოლისემია და ენობრივი სესხების პროცესი სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობისას), თ. შიტიურიშვილი (პირველი ირანული ინტელექტუალები და მოდერნიზაცია), ა. ჭულუხაძემ (სიტყვა „ვეშაპის“ ეტიმოლოგია და სემანტიკა „ვეფხისტყაოსანში“), ე. გიუნაშვილმა (საპოეზიო ლექსიკის კვლევის საკითხებისათვის ძველ ქართულში), თ. ფარულავამ (ერთი ლექსისათვის ჰაფეზის ბიოგრაფიიდან), ნ. ბართაიამ (ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით).

იუბილე

გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ილია ვეკუას იუბილე აღნიშნეს

22 აპრილს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში დიდი მათემატიკოსის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ილია ვეკუას დაბადებიდან 102 წლისთავის იუბილეს სამეცნიერო კონფერენციით — ინსტიტუტის სემინარის 23-ე გაფართოებული სხდომებით აღნიშნეს, რომელიც 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მათემატიკოსებმა 150-მდე მოხსენება წაიკითხეს.

ნათო მგოლაძე

ილია ვეკუას იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა. იუბილე გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში გაიმართა და მასში თბილისის უნივერსიტეტისა და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გარდა, საქართველოს მათემატიკური ცენტრების სხვა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ილია ვეკუას იუბილეს ყოველ წელს აღნიშნავს. მრავალი თარიღების შემთხვევაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და სიმპოზიუმები იმართება, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების ეგიდით. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში წელს დიდი მეცნიერის პატივის მისაგებად მათემატიკოსები უკვე 23-ედ შეიკრიბნენ. „ჩვენი ინსტიტუტი აგრძელებს ტრადიციებს და შენარჩუნებული აქვს საერთაშორისო ავტორიტეტი. ამის მაგალითია ის, რომ წელს ივანე ვეროკავშირის ეგიდით ტარდება მეცნიერებაში პოლიტიკის განმსაზღვრელი ქვეყნებისა და ევროპის სამეცნიერო პროგრამებში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მნიშვნეული ვარდაკვეთილი მოხსენებები: ინსტიტუტის წვლილის შესახებ ევროპროგრამების შესრულებაში“, — განაცხადა გიორგი ჯაიანმა.

ილია ვეკუას იუბილეს გახსნის ცერემონიაზე უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და თსუ-ის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრა. რექტორმა აღნიშნა, რომ თსუ-ის ადმინისტრაცია ყოველთვის ხელს უწყობდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. მისი თქმით, ილია ვეკუას მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ყველაზე დიდი პატივისცემა მათემატიკური მეცნიერებების განვითარებაა. აღსანიშნავია, რომ ილია ვეკუა იყო ორი ქვეყნის უნივერსიტეტის რექტორი, მათ შორის ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის დამაარსებელი. „მისარია, რომ სამეცნიერო კონფერენციას ძალიან ბევრი ახალგაზრდა ესწრება. ეს ფაქტი არის გარანტი იმისა, რომ ინსტიტუტი მომავალშიც შეინარჩუნებს და კიდევ უფრო განავითარებს მაღალ საერთაშორისო დონეს. საუნივერსიტეტო მეცნიერებებს ამ გარდამავალ პერიოდში ბევრი ახალი გამოწვევა აქვს და ვფიქრობ, ამ სიახლეებს ჩვენც ალღო უნდა ავუღოთ. ერთადერთი გამოწვევაა, ამ შემთხვევაში, ის არის, რომ უფრო მაქსიმალურად ვიყოთ ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. ამ მხრივ შესაძლებლობები მათემატიკოსებს ნამდვილად გააჩნიათ. თქვენი მიმართულებების პროფესურას შეუძლია უფრო მეტად ჩაერთოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო პროგრამებში.

ყველაზე დიდი სამსახური, რაც ჩვენ ილია ვეკუას ხსოვნას შეგვიძლია გავუწიოთ, არის ის, რომ ღირსეულად გავაგრძელოთ მისი მემკვიდრეობა. როგორც იუნიუსტმა, შემიძლია

თამამად ვთქვა, ძალიან ბევრი საინტერესო საგნის შეთავაზება შეგვიძლია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. მათემატიკური უნარ-ჩვევები სჭირდებათ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებსაც.

თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისათვის საუნივერსიტეტო ინსტიტუტის სტატუსის მიჩნევის თაობაზე, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს უფრო თამამად მივიღოთ გადაწყვეტილებები მისი დაფინანსების კუთხითაც“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორებმა მუშაობა უკვე დაიწყეს. სტუდენტებს ლექციები ლოგიკაში ეკითხებათ.

ბიოგრაფია

ილია ვეკუა 1907 წლის 23 აპრილს გალის რაიონის სოფელ შეშელეთში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1930 წელს რეკომენდაცია მიიღო ლენინგრადის უნივერსიტეტში ასპირანტურაში ჩასარიცხად. ასპირანტურის სრული კურსის გავლის შემდეგ 1933 წელს ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა და თსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე დაიწყო მუშაობა. დიდი მეცნიერი თანამედროვე მათემატიკის დარგში კითხულობდა ლექციებს, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში. 1937 წელს ილია ვეკუამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია დაცვა თემაზე: „დრეკადი ტალღების გავრცელება უსასრულო სივრცეში“. ამავე წელს აირჩიეს დოცენტად. 1940 წელს იგი უკვე პროფესორია. 1940-1944 წლებში დიდი მათემატიკოსი თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო. 1946 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. ილია ვეკუას 1950 წელს მონოგრაფიისთვის „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“, ხოლო 1963 წელს მონოგრაფიისთვის „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ უმაღლესი სახელმწიფო პრემიები მიენიჭა.

ილია ვეკუა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველი რექტორი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გახლდათ. 1964 წელს ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა. მან თსუ-ის რექტორის თანამდებობა 1966 წელს დაიკავა. 1972 წელს დიდი მათემატიკოსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თამაჯლომარედ აირჩიეს, მან ამ პოსტზე ნიკო მუსხელიშვილი შეცვალა.

ილია ვეკუა 1977 წელს 70 წლის ასაკში გარდაიცვალა და მთაწმინდის მწვერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.



კორნელი კეკელიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება

30 აპრილს, გამორჩეული ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის დაბადების დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობისათვის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მისი მემორიალური მუზეუმის დაფუძნების მიზნით, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, კორნელი კეკელიძის სახელობის მემორიალური მუზეუმი დაარსდა.

შურთხიანი ბაროვილი

კორნელი კეკელიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც თსუ-ის მერვე კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა, უნივერსიტეტის პროფესორმა, თსუ-ის პუბლიცისტიკის დეპარტამენტის დირექტორმა, პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ გახსნა.

ბატონი ელგუჯა კორნელი კეკელიძის ბოლო ასპირანტი გახლავთ. ამიტომ მას კარგად ახსოვს ის შემართება და თავდადება, რომელიც დიდ მეცნიერს სხვებისგან გამოარჩევდა. კორნელი კეკელიძე სტუდენტებს ურჩევდა: თუ გსურთ მეცნიერებაში წარმატებას მიაღწიოთ, საყვარელი ქალივით ძლიერად უნდა შეიყვაროთ და თავიც განიროთ მისთვის.

ელგუჯა ხინთიბიძის აზრით, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრება სწორედ კორნელი კეკელიძის სახელს უკავშირდება, რადგან შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული ძეგლების სერიოზული კვლევა და ბიზანტინისტიკისა და მედიევისტიკის შემდგომი განვითარება მისი ნაშრომების გარეშე წარმოუდგენელია.

ელგუჯა ხინთიბიძემ მეცნიერის ცხოვრებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდს გახსენა.

კორნელი კეკელიძემ კიევის სასულიერო აკადემია დაამთავრა. დისერტაციის დაცვის დროს მას ერთადერთი შენიშვნა მისცეს: ნაშრომი ზედმეტად პატრიოტიკურია. იმის ნაცვლად, რომ კორნელი კეკელიძეს თავი ემართებინა ან ჩაესწორებინა დისერტაცია, მან გაილაშქრა რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ და დამატკიცა, რომ ქართული კულტურა იმსახურებს იმას, რომ თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ლიტერატურასა და მეცნიერებაში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კორნელი კეკელიძემ სასულიერო სემინარიის აპირანტი გააგრძელა მოღვაწეობა. მან სულ მალე პირველი საყვებელიც დაიმსახურა ეგზარქოსისაგან, რადგან მან მოითხოვა, სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას მეტი დრო დაეთმობოდა.

„იმედი მაქვს, ახალგაზრდობა გააგრძელებს იმ დიდ საქმეს, რაც ასეთი შთაბეჭებით უკეთესობაზე ჩვენს დიდ წინაპრებს, მათ შორის, კორნელი კეკელიძეს. ჩვენი მეობა, ჩვენი კულტურის არსებობის აუცილებლობა რომ დავამტკიცოთ, პირველ რიგში, უნდა დავიმკვიდროთ ადგილი ევროპულ კულტურულ სივრცეში. ეს ადგილი პოტენციურად აქვს საქართველოს, რომლის მისაღწევად ჩვენმა მეცნიერებმა ძალიან რთული გზა გაიარეს“, — აღნიშნა ელგუჯა ხინთიბიძემ.

საიუბილეო კონფერენციის მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმა, რომელმაც კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მემორიალური მუზეუმის დაარსებაზე ვრცლად ისაუბრა.

„დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ მივგავბთ პატივს პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის კორნელი კეკელიძის ხსოვნას. სტუდენტობამ უნდა იგრძნოს, რა დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა იმ მემკვიდრეობის შენარჩუნება, რაც მათ წინაპრებმა დაუტოვეს. ეს გავაღებულეებს, რომ მომავლისკენ ხედვა ეფუძნებოდეს ტრადიციებს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა მეტი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ჩვენი კულტურის და ლიტერატურის მიღწევები ხელმისაწვდომი იყოს საერთაშორისო საზოგადოებისთვის. მართლაც საამაყოა, რომ კორნელი კეკელიძის მონაფეხები დღეს უნივერსიტეტში მოღვაწეობენ და აგრძელებენ დიდ მასწავლებლის გზას“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

შუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი

ტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ სიამაყით აღნიშნა, რომ იგი კორნელი კეკელიძის „მონაფეხთა, მონაფეხთა, მონაფეხთა“ რიგშია და ცდილობს უერთგულოს მეცნიერის პრინციპებს.

„დიდი მეცნიერის მიერ შესრულებულმა სამუშაომ გზა გაუკვალა მრავალ თაობას. მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორი ტომი დღესაც რჩება თანამედროვე სტუდენტების ძირითად სახელმძღვანელოდ, კვლავაც მრავალ სპეციალისტს აოცებს კვლევის სიღრმით და ფართო დიაპაზონით.

აღსანიშნავია ორი ანოტირებული კატალოგი, რომელიც იმ დროს იქმნებოდა, როდესაც ქართულ ხელნაწერთა კოლექციები სრულად აღწერილიც კი არ იყო. მისი ნაშრომები გზამკვლევა ყველა იმ სპეციალისტისთვის, ვინც ამ სფეროში მუშაობს. მჯერა, რომ ამ წიგნებზე კვლავაც გაიზარდებიან თაობები“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ. მისი ინფორმაციით, კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 130 წლისთავთან დაკავშირებით ფაკულტეტზე მიმდინარეობს მუდმივმოქმედი სადოქტორო სამეცნიერო სემინარების დაარსება ლიტერატურის, ისტორიისა და ქართული კულტურის სფეროში მომუშავე დოქტორანტებისა და სპეციალისტებისთვის, რის შედეგადაც ჩამოყალიბდება ინტერდისციპლინური სამეცნიერო სემინარი, რომელსაც დაერქმევა — „კორნელი კეკელიძის სემინარი“.

„ფაკულტეტზე არსებულ ნიჭიერ სტუდენტთა ნახალისების ფონდის ფარგლებში დანერგება კორნელი კეკელიძის სახელობის სტიპენდია, ამით ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელს უნივერსიტეტში უფროსი დედაა და პატივს სცემენ“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს: თსუ-ის პროფესორმა გოჩა საითიძემ („მასალები აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ცხოვრება-მოღვაწეობიდან“), შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორმა ლალი ოსეფაშვილმა („ზატიკის დღესასწაულის სცენები სვეტიცხოვლის



მოხატულობაში“), თსუ-ის პროფესორმა ზაზა ხინთიბიძემ („რუსთაველისეული „ხევა“ და არისტოტელესეული ტერმინების ურთიერთმიმართებისათვის“), ეკა ვარდოშვილმა („კერპთა სახისმეტყველებისათვის „წმინდა ნინოს ცხოვრების რედაქციები“), ია გრიგალაშვილმა („საღვთისმსახურო თემები „წმინდა ჰაბოს ნამების“ საკითხავის მიხედვით“), ლელა ხაჩიძემ („VIII საუკუნის ბიზანტიური პინოგრაფიის ისტორიიდან“) და მაკა ელბაძემ (მოლი თუ მოლიდ („გვეხისტიყაოსის“ ერთი მხატვრული სახის განმარტებისთვის“).

კორნელი კეკელიძის საიუბილეო ღონისძიებას დაესწრო მეცნიერის შთამომავალი, რუსთაველის ფონდის დირექტორი თინათინ ბოჭორიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი დიდი ბაბუა მემკვიდრედ ყველა ის ღირსეული მამულიშვილი შეიძლება ჩაითვალოს, ვინც მისი იდეების ერთგულია, მის გზას აგრძელებს და მის მემკვიდრეობას უფროსი დედაა. ქალბატონმა თინათინმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ფოტოარქივის გამდიდრების მიზნით ოჯახური ფოტოალბომიდან სურათების ჩუქებაც აღუთქვა.

უნივერსიტეტი „ჰერეთის დღეები“ გაიმართა

შურთხიანი ბაროვილი

15-16 აპრილს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და „ახალგაზრდა ჰერეთის ასოციაციის“ თანადგომით სახელმწიფო უნივერსიტეტში „ჰერეთის დღეები“ გაიმართა.

ორდღიანი ღონისძიება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გმირულად დაღუპული ჰერეთში მცხოვრები ქართველი ჯარისკაცების ხსოვნას მიეძღვნა.

უნივერსიტეტის VIII კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში მოეწყო ჰერეთის ისტორიული ძეგლებისა და 2008 წლის 22-23 სექტემბერს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ექსპედიციის ამსახველი ფოტო-გამოფენა. სააქტო დარბაზში კი ქართული ხალხური შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელშიც თსუ-ის სტუდენტებთან ერთად ჰერეთის ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლმა „ლაზარემ“ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება ჰერეთის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციით დასრულდა.



ღონისძიებას ესწრებოდნენ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მერაბ ჩუხუა და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული გმირის ეროვნული ყულოშვილის მამა, რომელმაც დარბაზში შეკრებილ ახალგაზრდებს მიმართა: „მე იმ ძირძველი მიწის შვილი ვარ, რომელიც ოდითგან ცნობილია წინაპრების გმირობით და თავდადებით, ჩვენი გვარიც მეომრობით ყოფილა განთქმული. ვეცადე, შვილი ნამდვილ პატრიოტად გამეზარდა. ჩემს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ მეამაყება, რომ მან სამშობლოსთვის თავი გაწირა. მჯერა, რომ მომავალი თაობა სათანადო პატივს მიაგებს მის ხსოვნას“, — განაცხადა სტუდენტებთან შეხვედრისას მიხეილ ყულოშვილმა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა თეიმურაზ ჯოჯუამ ვრცლად ისაუბრა ჰერეთის წარსულსა და დღევანდლობაზე. მისი თქმით, ჰერეთის მოსახლეობას საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება. „ჰერეთის მოსახლეობა ვაჟკაცობითა და ამტანობით გამოირჩევა. მათ სამშობლოს დაცვა და თავიანთი ეროვნულობის შენარჩუნება ყოველდღე უწევთ. ისინი განსაკუთრებით მტკიცებულად აღიქვამენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. დღევანდელი ჩვენი შეხვედრა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. საჭიროა გეგმიური, სწორად მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა“, — განაცხადა თეიმურ ჯოჯუამ. ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თეიმურაზ ტარტარაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი სხვადასხვა ღონისძიების გატარებას გეგმავს, მათ შორის, სკოლების დამეგობრებას და პედაგოგების გადამზადებას, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება.

გაზეთ „ლიტერატურული თსუ თაიმის“ პრეზენტაცია

უნივერსიტეტის ახალგაზრდულ გაზეთ „თსუ თაიმის“ ერთი წელი შეუსრულდა. დაარსების წლისთავი გაზეთ „თსუ თაიმის“ რედაქციის თანამშრომლებმა ჩარგალში აღნიშნეს. ვაჟა-ფშაველას საცხოვრებელი სახლისა და სახლმუზეუმის დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშ შემოქმედებითი იმპულსებით დამუშავდა ნამდვილად წაადგება გაზეთის ხელმძღვანელობასა და იმ ჟურნალისტებს, რომლებიც გაზეთის არსებობის მანძილზე ერთგულად ემსახურებიან ქართულ საქმეს. ამის დასტურია 5 მაისს გამართული გაზეთის სპეციალური ნომრის — „ლიტერატურული თსუ თაიმის“ პრეზენტაცია.



შურთხიანი ბაროვილი

ღონისძიებას ახალგაზრდა პოეტთა არტ-ჯგუფის — „ვარდისფერი ავტობუსის“ წევრებმაც დაესწრნენ. დათო ყანჩაშვილმა, შოთა გაგარინმა, ალექსანდრე ლორთქიფანიძემ, ალექსი ჩიღვინაძემ და ზაზა კოშკაძემ უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს.

„ლიტერატურული თსუ თაიმის“ თემატიკა სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით შეირჩა. როგორც გაზეთ „თსუ თაიმის“ დამფუძნებელმა არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, რედაქციის ინიციატივა

— პერიოდულად გამოსცეს სპეციალური თემატური ნომრები, საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ასეთი გამოცემებში შესაძლებელია გარკვეული პრობლემისა და თემატიკის ფართოდ გაშუქება.

„გაზეთის ლიტერატურული ნომრის მომზადების ინიციატივა ეკუთვნის ჩვენი გუნდის ერთ-ერთ წევრს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს სალომე შენგელიას. ამჟამად ვამზადებთ ქართული კონფლიქტოლოგიისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომერს, რომელიც მიეძღვნება ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობების, 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის საკითხების განხილვას. ამავე თემატიკიდან გამომდინარე ვგეგმავთ სამეცნიერო კონფერენციის — „ქართველი ახალგაზრდების როლი კონფლიქტის დარეგულირების საკითხში“ გამართვას, შესაბამისად, კონფერენციაზე განხილული პრობლემატიკა გაზეთის გვერდებზე გამოინაცვლებს“, — აღნიშნა არჩილ კაიკაციშვილმა.

„ლიტერატურული თსუ თაიმის“ გამოცემის ინიციატორმა სალომე შენგელიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მრავალად არის ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც გურამ დონაშვილის ერთ-ერთი პერსონაჟის მსგავსად ლიტერატურა ძლიერ უყვართ. სწორედ ამან განაპირობა სპეციალური ნომრის გამოცემის აუცილებლობა.



ლივერპულში, ჯონ ლენონის სახელობის აეროპორტში, მალე დაამონტაჟებენ მსოფლიოში პირველ ტექნოლოგიას, რომელიც მგზავრების სუნთქვას ბიოსანვავად გადააქცევს. ახალი ტექნოლოგია, რომელსაც სახელად Eco-box ჰქვია, ნახშირორჟანგს შეისრუტავს და სანვავად გარდაქმნის, რომელსაც აეროპორტი თავის ტრანსპორტისა და გათბობის სისტემებისთვის გამოიყენებს. ხელსაწყო ძალიან მარტივი პრინციპით მუშაობს. იგი ნახშირორჟანგს ფოტობიორეაქტორით იჭერს და წყალმცენარეებთან ერთად ბიომასად გარდაქმნის. შემდეგ ბიომასა იწმინდება და ბიოსანვავად გარდაქმნება. ტექნოლოგიის შემქმნელი ვარაუდობენ, რომ 24000 გალონ სანვავს მიიღებენ და მთელ აეროპორტს გათბობითა და ცხელი წყლით უზრუნველყოფენ. აეროპორტის დირექციის განცხადებით, ეს მხოლოდ დასაწყისია და უკვე დააფინანსეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც საავიაციო ხარისხის ბიოსანვავს გამოიმუშავებს.



საბამოცემალო საქმის მსოფლო კრიზისის ფონზე ყურადღებას იქცევს ახალი მოდა, რომელიც იაპონიაში გაჩნდა. ეს არის ელექტრონული წიგნები მობილური ტელეფონებისთვის, რომელსაც „კეიტაი“ წიგნები ჰქვია და რომლის პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „კეიტაი“

(იაპონურად მობილური ტელეფონი) უკვე დამოუკიდებელ სალიტერატურო ჟანრად ჩამოყალიბდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი კლასიკოსებიც კი გააჩნია. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ავტორის უკანასკნელ ბესტსელერზე, ყოველდღიურად, 160 000 მოთხოვნა ფიქსირდება. ექსპერტების აზრით, კეიტაის მკითხველთა უმეტესობა ქალაქის გამოცემებს საერთოდ აღარ ყიდულობს. პირველი ექსპერიმენტები 2002 წლიდან დაიწყო და მაშინვე გაირკვა, რომ ქალაქის წიგნებიდან „მოსული“ ცნობილი ავტორები ამ ფორმის მკითხველს არ აინტერესებდა. ახალი ბაზრის შესწავლას 5 წელი დასჭირდა და ბოლოს და ბოლოს გამოიკვია, რომ ყველაზე კარგად ის დეტექტივები იყიდებოდა, რომელიც სიყვარულის ძლიერ ხაზს და ეროტიკის ელემენტებს შეიცავდა. ახალი ჟანრის გაჩენამ კიდევ ერთი მოულოდნელობა წარმოაჩინა. თუ ქალაქის წიგნების ცნობილი ავტორები მკითხველისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, კეიტაის ავტორების შემოქმედება, პირიქით, ქალაქის ფორმატშიც შესანიშნავად იყიდებოდა. მაგალითად, უკანასკნელი ბესტსელერი 2,7 მილიონი ტირაჟით გაიყიდა.

ამსტერდამის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს ტაბლეტი, რომელსაც ცუდი მოგონებების წაშლა შეუძლია. წამალი ბეტა-ბლოკატორ პროპრანოლოლის ბაზაზეა შექმნილი და მკვლევართა აზრით, მისი გამოყენება პოსტტრამაული სინდრომის, დეპრესიისა და ნერვული სისტემის დარღვევის სამკურნალოდ შეიძლება. ექსპერიმენტებმა გამოავლინა, რომ ცუდ მოგონებებს რეკონსოლიდაციის პროცესი იწვევს, რომელიც გარკვეულ სტადიაში შეიძლება დარღვეულირდეს წნევის აწევით ან დაწევით და თავის ტვინის ადრენერგული რეცეპტორების ბეტა-ბლოკატორით სტიმულირების გზით. მეცნიერები არ ადასტურებენ, რომ წამალი სრულ გარანტიებს იძლევა. მათი განცხადებით, იგი ჯერ ისეთ ცხოველებზე (ვთქვათ პრიმატებზე) უნდა გამოიცადოს, რომლებიც თავისი აგებულებით ადამიანებთან ძალიან ახლოს არიან და მთლიანად პროცესის შეცნობას მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ.



ამერიკის შერთებულ შტატებში გარემოს შემსწავლელმა მეცნიერთა ჯგუფმა მსოფლიო გააფრთხილა, რომ გლობალური დათბობის შეჩერება უკვე შეუძლებელია. ტემპერატურა, დაახლოებით, ათასი წელი იმ შემთხვევაშიც კი მაღალი დარჩება, თუკი კაცობრიობა მისი წარმოშობის უმთავრეს მიზეზს უშველის. ეს ანგარიში ენერგეტიკის სამინისტროსთვის მოამზადეს და იგი "Proceeding of the National Academy of Sciences"-ში დაიბეჭდა. მეცნიერები საზოგადოებას აფრთხილებენ, რომ ატმოსფეროში ნახშირბადის მომატების შემთხვევაში დედამიწის გვალივან ნაწილებში (სამხრეთ ევროპა, ჩრდილო ამერიკა, აფრიკა და ავსტრალია) ნალექი კიდევ უფრო შემცირდება. მკვლევართა განცხადებით, ჯერჯერობით სითბოს ოკეანე ისრუტავს, მაგრამ მომავალში მას, უკან, ჰაერში გაუშვებს.




ანტარქტიდაში დედამიწის ქერქის შემსწავლელმა მეცნიერ-სეისმოლოგებმა აღმოაჩინეს აისბერგი, რომელიც სიმღერის მსგავს ბგერებს გამოსცემს. გერმანელმა მკვლევარებმა ეს ჟურნალ "Sciences"-ში გამოაქვეყნეს და აღნიშნეს, რომ აისბერგის სიმღერის სიხშირე — 0,5 გერცი მეტისმეტად ხმადაბალია, რათა ადამიანის ყურმა აღიქვას, მაგრამ თუ ფირზე ჩანერ და ცოტა სწრაფად ააჟღერებ, მაშინვე გაიგონებ, რომ აისბერგი ისეთივე ბგერებს გამოსცემს, როგორც ფუტურების გუნდი ან ორკესტრი, როდესაც ინსტრუმენტებს აწყობენ. მეცნიერებმა აისბერგის სიმღერის ჩანერა შეძლეს. ეს არნახულად სუფთა, აკუსტიკური სიგნალი ანტარქტიდის სამხრეთ-ატლანტიკური სანაპიროს სეისმური და ტექტონიკური აქტიურობის კვლევის დროს მიიღეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ბგერებს გამოსცემდა 50x20 კილომეტრის ზომის აისბერგი, რომელიც ფსკერის გორაკებში გაეჩხირა. წყალი დიდი წნევით მიედინება მის ნაპრალებსა და გვირაბებში და აისბერგს მღერის.



Nasa-მ და Google-მ ცნობილ პროგრამაში Google Earth ახალი რეჟიმი "Mars" შექმნეს. ამ რეჟიმში მომხმარებელს შეუძლია ნითელი პლანეტის სამ განზომილებიანი რუკა ნახოს. რეჟიმი მხოლოდ იმისთვის კი არ არის შექმნილი, რომ მომხმარებელმა მარსის შესახებ ინფორმაცია მიიღოს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იგი ამ პლანეტის შემსწავლელ მეცნიერებს გამოცდილების გაზიარებაში დაეხმარება. ახალ პროგრამაში მომხმარებელს შეუძლია ვირტუალურად გადაუფრინოს მარსს და მისი მთებიც დაათვალიეროს. გარდა ამისა, მომხმარებელს უკანასკნელი ფოტოების დათვალიერება და ბოლო აღმოჩენების შესახებ ინფორმაციის მიღებაც შეუძლია. პროგრამა ისეა აწყობილი, რომ რუკაზე საკუთარი კონტენტიც კი შეიძლება დაამატო.

ეგვიპტის უძველესმა ნეკროპოლმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოამზადა. ამჯერად, არქეოლოგებმა გახსნეს სამარხი, სადაც ოცდაათი მუშია აღმოჩნდა. სპეციალისტების განცხადებით, სარკოფაგით მხოლოდ რვა მუშია იყო დაცული, დანარჩენთა ნეშტი კედლის ნიშებში იპოვეს, რომლებიც საკმაოდ შელანძლიერებული აღმოჩნდნენ და მათი იდენტიფიცირების საკითხი ძალიან გართულდა. არქეოლოგებმა ამ სამარხს „მუშიების საწყობი“ უწოდეს. მათი ვარაუდით, იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 640 წლისთვის შეიქმნა და ფარაონთა ოცდამეექვსე დინასტიას ანუ დამოუკიდებელი ეგვიპტის იმ უკანასკნელ დინასტიას ეკუთვნის, რის შემდეგაც ქვეყანა ხელიდან ხელში გადადიოდა.



საყოფაცხოვრებო ტექნიკის ინტერნეტით მართვა დღესდღეობით აღარავის უკვირს. მაშ რა შეიძლება მოხდეს ხვალ, თუკი გლობალურ ქსელში სარეცხი მანქანა ან, ვთქვათ, ფინჯანი ჩაი შევა? ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს ათწლეულში ახალი ერა აღმოცენდება და დღევანდელ საინფორმაციო ინტერნეტს ხვალ „ნივთების ინტერნეტი“ შეცვლის. გაეროსთან არსებული ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის /ITU/ ანალიტიკოსებმა თავისი მოხსენება სწორედ ასე დაასათურეს. მათი აზრით კაცობრიობა „ყოველსამომცველი ქსელური თანამეგობრობის“ ეპოქას უახლოვდება და ამის შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია. დღეს, როდესაც ინტერნეტში მოხვედრა ყოველგვარი სადენების გარეშე, ვთქვათ, მობილური ტელეფონით ან ნოუტბუქით შეიძლება, შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი, ალბათ, გლობალურ ქსელში უსულო ნივთების გაერთიანება იქნება. ისინი რეალური დროის რეჟიმში იმუშავებენ და ინტერნეტს რადიკალურად შეცვლიან. ასეთი დასკვნების საფუძველს ანალიტიკოსებს რადიოსიხშირეების იდენტიფიკატორი მიკროჩიპების /RFID/ არსებობა და ნანოტექნოლოგიების განვითარების არნახული პროგრესი აძლევს.

„ადამიანთა რასის არსებობა მუდმივი საფრთხის ქვეშ იქნება, სანამ ის ერთ პლანეტაზე დასახლებული იქნება. ისეთმა კატასტროფამ, როგორც, ვთქვათ, ასტეროიდთან შეხება, მთელი კაცობრიობა შეიძლება განადგუროს. ამიტომ, კოსმოსში დამოუკიდებელი კოლონიები გვჭირდება. მზის სისტემაში ასეთი საჭირო პირობები არსადაა, ამიტომ იგი სხვა ვარსკვლავებზე უნდა ვეძებოთ“, — განაცხადა „დეილი ტელეგრაფი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა ფიზიკოს-თეორეტიკოსმა სტივენ ჰოკინგმა. ჟურნალისტის შენიშვნას, რომ მეცნიერება სინათლის სხივის სისწრაფეზე მეტ სიჩქარეს შეუძლებლად მიიჩნევს, ასე მგზავრობას კი 50 ათასი წელი დასჭირდება, მეცნიერმა მოკლედ უპასუხა: „ამ კანონს არც დავარღვევთ, თუკი ანიგილაციის საშუალებით ნივთიერებას ანტინივთიერებად გარდაქმნით. მაშინ ექვსიოდე წელი დავგჭირდება. ადამიანები კი ხომალდზე ამდენსაც ვერ იგრძნობენ“.



მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭილაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჭარაძე		